Ком 3 44
Ком 1 1234.
F75/2 № 13832

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 29 (88.) სამშაბათი, 5 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 29 (88)

დღიური

გარდაიცვალა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ვილსონი.

იაპონიაში გაზხრიკეს საბჭოთა რუსეთის ცნობ[illegible]

სრულიად უკრაინის კრეშჩენის ბაზრობის [illegible] მოდუდება მიიღო მონაწილეობა მიიღოს გერმანიის ბაზრობაზე.

გერმანიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ამხ. კამენევის სიტყვას საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე.

რუსეთში დაიწყო არაჩვეულებრივი ყინვები.

აბჭოთა კავშირის ცნობა და საფრანგეთი

ოდი ხანია, რაც შორს დაგვრ-ს დრო, როდესაც ანტანტის ელმწიფოებს ურთიერთ თანხმო- გარეშე არ შეეძლოთ დაეწ- ნორმალური დამოკიდებუ-ბის აღსადგენად მოლაპარაკე- ამ ქვეყნებთან, რომლებიც ან წინააღმდეგე კოალიციაში შე-ოდნენ ანდა მათ საწინააღმდე- საშინაო და საგარეო პოლი-კას აწარმოებდნენ. იმპერია-ისტური ომის შემდეგმა პერი-ომა, ეკონომიურ ინტერესთა ადასხვაობამ გაბზარა „გული-დი შეთანხმების“ ოჯახი, დაა-ლა ერთმანეთს ინგლისი, იტა-ია და საფრანგეთი ე. ი. უმ-ერესი წევრები ამ „ოჯახის“. ავისი შინაური ეკონომიური გომარეობის გამო ინგლისი ულებული შეიქნა დაეკავებია იმე ურთიერთობა რუსეთთან, ლო მოელო „ბუტიაობის-ვის“. როგორც მოთხოვნილე- საგაჭრო-სამრეწველო წრეე-ს, ისე ინტერესი მილიონებიან მუშევრების აიძულებდა მას გზა ეხსნა საბჭოთა სახელმწიფოებ-ან ალებ-მიცემობისთვის. ინტერ-ენციებში დამარცხების შემდეგ მ გზაზე შესდგა კიდევაც ის, აგრამ სხვადასხვა ძლიერი ფი-ანსიური ჯგუფები ამ ქვეყნის, რომლებმაც თავიანთი ქონება ატოვეს, ან, უკეთესად რომ ოთქვათ, რომლებსაც ეს ქონება ატოვებია რუსეთში მუშათა ევოლიუციამ, მუდამ იმის ცდა-ში იყვნენ, რათა დაწყებული საქმიანი ურთიერთობა ორი ქვეყნის შორის შეეფერხებინათ, გაეწყვიტათ კიდევაც ეს ურთიერთობა და აეძულებიათ მთავრობა დაეწყო „სხვა ენით“ ლაპარაკი საბჭოთა კავშირთან. ჩვენ ყველას გვახსოვს რამოდენიმე მომენტი, როდესაც თვით სუსტი კავშირის საქმეც ორ მხარეთა შორის ბეწვზე ეკიდა. „მუშათა მთავრობის“ მოქცევამ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს სათავეში შესცვალა ორჭოფული მდგომარეობა და დღეს საბჭოთა კავშირი ცნობილია იურიდიულად მსოფლიოში უდიდესი და უძლიერესი იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ.

ეს აძლევს დასაწყისს მოუსვენრობასა და პანიკას საფრანგეთში.

ყველამ იცის თუ როგორი შეურიგებლობით იყვნენ გამსჭვალული ჩვენ მიმართ ამ ქვეყნის ოფიციალური წრეები. გარდა იმისა, რომ ისინი ამაგრებდენ ფინანსიურათ და პოლიტიკურათ ყველა სახელმწიფოებს, რომლებიც გამოადგებოდათ მათ რუსეთის წინააღმდეგ და რომლებზეც ისინი იმედებს ამყარებდნენ რუსეთთან რაიმე გართულების მომენტისთვის,—გარდა ამისა შეუძლებლათ ხდიდნენ თვით კერძო პირთა თუ კომპანიათა საქმიან დამოკიდებულებასაც ჩვენთან. ამან აიძულა ჩვენი კავშირის ეკონომიური წარმომადგენლობა საფრანგეთში დაეტოვებია ეს ქვეყანა და გადასულიყო ლონდონში. ოფიციალური წრეებ ეს დამოკიდებულება გრძელდება დღემდე, მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთშიც დაიწყო ფითო კამპანია საბჭოთა კავშირთან დაახლოვების სასარგებლოთ კამპანია, რომელსაც ყავს ენერგიული მომხრეები როგორც გავლენიან პოლიტიკურ, ისე სავაჭრო-სამრეწველო წრეებშიც. სულ უკანასკნელად, როგორც მკითხველებს ემახსოვრებათ, ასეთი ურთიერთობის მომხრეთ რუსეთთან გამოვიდა, თუმცა ცოტა მიკიბულ-მოკიბულათ, საფრანგეთის მთავრობის ორგანოს „ტან“-ის რედაქტორიც.

დღეს, ინგლისის მიერვე იურიდიულად ცნობის შემდეგ, მოუსვენრობა იპყრობს, როგორც ვთქვით, საფრანგეთის საზოგადოებას. პრესა გამოხატავს ამ მოუსვენრობას. მისი აზრით ლონდონის დაკავშირება მოსკოვთან და ბერლინთან გადასცემს ხელში დიდ ბრიტანეთს კონტინენტალური პოლიტიკის სადავეებს და ამიტომ მოუწოდებს საფრანგეთის მთავრობას შეუთანხმდეს ინგლისს, რათა უკან არ ჩამორჩეს მას. ერთი დეპეშა ლონდონიდან გადმოგვცემს, რომ „სამრეწველო და ეკონომიური წრეები საფრანგეთის, შეშინებულნი საბჭოთა კავშირის ცნობით ინგლისის მიერ, დაჟინებით მოითხოვენ მთავრობისაგან დაიკავოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან“.

ეჭვი არ არის, რომ ახალი მდგომარეობა, რომელიც შექმნა საერთაშორისო ურთიერთობაში საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობამ ინგლისის მიერ, წინ წასწევს სხვა ქვეყნების მიერაც ასეთი ცნობის საკითხს და ახლო მომავალში დამყარდება უფრო ნორმალური იურიდიული დამოკიდებულება კაპიტალისტური ქვეყნებისა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების შორის.

ყინული დაიძრა. ჩვენ მოვსცილდით მკვდარ წერტილს ამ აზრით. საბჭოთა კავშირი ისარგებლებს ახალი მდგომარეობით, აიძულებს სხვებსაც (და მათ შორის საფრანგეთსაც) შეურიგდნენ მათთვის არასასიამოვნო ფაქტს საბჭოთა ურყევლობისა და სიმტკიცისას.

მეტი ყურადღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას

დღევანდელ მომენტში დიდი მნიშვნელობა აქვს მუშურ-გლეხური მთავრობის დეკრეტს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ, დეკრეტს, რომელიც გამოქვეყნდა ამას წინად.

ეს პირველი კანონია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აღიარებასა იურიდიულ ორგანიზაციათ. ამასთან ყველასათვის აშკარაა, რომ საქართველო სასოფლო მეურნეობის მხარეა, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სოფლის მეურნეობას მისდევს, როგორიცაა მევენახეობა, მეთამბაქოება, მეჯოგეობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, სიმინდის და პურის მოყვანა და სხვა მრავალი. ზემოთმოყვანილი მეურნეობანი შეადგენენ გლეხობის სასიცოცხლო წყაროს და მთავრობა, რომელიც გლეხების მდგომარეობაზედ ზრუნავს, ვერ აუვლიდა გვერდს ისეთი ორგანიზაციას, რომელსაც ვალათ აწევს მეურნეობის აღდგენა-აყვავება, კულტურის შემოღება და გლეხების ნაწარმოების გასაღება-რეალიზაცია.

რისი გაკეთება შეუძლია გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას?

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მშრომელი გლეხობას გადაეშალა ფართე ასპარეზი მეურნეობის აყვავების, თუმცა გლეხობას მიწა და მუშა ხელი აქვს, მაგრამ მას არ აქვს მიწის დასამუშავებელი იარაღები, რომლითაც ის გაცილებით ნაკლები შრომის დახარჯვით მიიღებს რამოდენიმეჯერ მეტი ნაყოფს ერთი და იგივე რაოდენობა მიწაზედ. პირველ ყოფილი სახნისის ადგილი მანქანებმა უნდა დაიკავოს. მევენახე გლეხს სჭირდება კარგი ჯიშის ვაზის შემოღება, მაგრამ მას ნერგი და მასწავლებელი არა ყავს, თუ როგორ მოაშენოს. არ აქვს თავისი დროზედ შაბი და გოგირდი, საწამლავი მანქანა, რომ ჭიებმა არ გააფუჭოს ვენახი არა აქვს დასაწურავი მანქანა, რის გამო ღებულობს გაცილებით ნაკლებ რაოდენობა ღვინოს. მეჯოგე გლეხ უნდა საქონლის ჯიშის გაუმჯობესება, რაც თვითონ არ იცის და მასწავლებელიც არა ჰყავს. ქონება ხელს არ უწყობს უცხოეთიდან გამოიწეროს კარგი ჯიშის საქონელი, ვერ ამზადებს ნაწარმოებს კარგ ხარისხისას, მაგალითად, ყველს, ერბოს და სხვა, ვინაიდან მას არ აქვს რძის გადასამუშავებელი მანქანა—სეპარატორი, რაც ერთობ ძვირია და ერთ გლეხს მისი შეძენა არ შეუძლია. კიდევაც რომ შეიძინოს მაინც ვერ გამოიყენებს, რადგან მისი ორი სამი ცუდი ჯიშის ძროხა იძლევა 7—8 ბოთლ რძეს, რისთვისაც სეპარატორი საჭირო არ არის. ასევე ითქმის მეთამბაქოებაზე, მეაბრეშუმეობაზე მეხილეობაზე, მებოსტნეობაზე და ჩვენი ქვეყნის ყველა მეურნეობაზე.

ასეთივე მდგომარეობაშია ნაწარმოების გასაღების საქმეც. გლეხი უვარდება ჩარჩი ვაჭრის ხელში, და უკანასკნელი აძლევს ნაწარმოებზე ღირებულების ერთ ნაწილს. აშკარაა, რომ გლეხი ყოველთვის წაგებული რჩება. ისეთი შემთხვევებიც არის, რომ გლეხები ერთი-მეორის კონკურენციას უწევენ და გლეხის ნაწარმოების ფასი საშინლათ ეცემა. ხშირათ ვაჭრები ხელოვნურათ სცემენ ფასს გლეხის ნაწარმოებზე.

მაშ რა არის საჭირო, რომ ეს უკუღმართობა მოისპოს და გლეხობა გამოვიდეს ასეთი მდგომარეობიდან? გლეხები—სოფლის მეურნენი თუ გაერთიანდებიან, როგორც ნაწარმოების დამზადებაში, ისევე გასაღებაში, ცხადია, ისინი ასცდებიან ყოველგვარ კონკურენციას, ვაჭრების კლანჭებს, ხელსაყრელ ფასებში გაჰყიდიან ნაწარმოებს და ამით გააძლიერებენ თავიანთი ორგანიზაციას, რასაც მოჰყვება კულტურის შემოღება მეურნეობაში. ასეთი კოლექტიური თანამშრომლობას კოოპერატიული მუშაობა ეწოდება.

მაშ, რა ამოცანები სდგას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წინაშე გადასაჭრელად?

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აერთიანებს მშრომელი გლეხობას, შეაქვს მეურნეობის ყოველ დარგში კულტურა, გაუმჯობესება, აწვდის გლეხებს სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, გზავნის სპეციალისტ ინსტრუქტორებს, აგროვებს გლეხის ნაწარმოებს და გააქვს ხელსაყრელ პირობებში გასასაღებლათ. კოოპერატიულ ორგანიზაციაში გაერთიანებულ გლეხობას აგრეთვე ის უპირატესობა აქვს კერძო მწარმოებელ გლეხთან, რომ პირველს, როგორც ორგანიზაციას აქვს ნდობა საკრედიტო ამხანაგობებში, საიდანაც სარგებლობს სესხით.

გარდა ზემოთჩამოთვლილი მეურნეობისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას აქვს სამუშაო ელექტროფიკაციის მოწყობის, მელიორაციის გაფართოების და საერთოდ მეურნეობის აღორძინების სფეროში. აი, მოკლით ის ვალდებულებანი, რომელიც აწევს შესასრულებლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას საქართველოს გლეხობის წინაშე. ცხადზედ უცხადესია, რომ საქართველოს მეურნეობის არსებული მდგომარეობა მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციიდან ინტენსიური მუშაობას.

საქართველოს მუშურ-გლეხური მთავრობამ თავისი დეკრეტით დაადასტურა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დიდი მნიშვნელობა და ეხლა ყოველი შეგნებული გლეხის და მოქალაქის ვალდებულებაა—ხელი შეუწყოს მის აღორძინებას და განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, როგორც მუშების, აგრეთვე გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის საქმეს.

სასოფლო სამეურნეო კოოპერაციამ უნდა აღადგინოს საქართველოს სოფლის მეურნეობა. ეს მისი ამოცანაა, ეს მან უნდა შეასრულოს.

გლ. ცაგარელი.

მოსკოვი ლენინის ცხედრის წინაშე

22 იანვარს დილით.

მოსკოვი გლოვობდა 1905 წ. 9 იანვარს დაღუპულთ. დილით კიდევ არ იცოდენ, რომ წინა ღამით მოხდა დიდი უბედურება—გარდაიცვალა მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლი. მხოლოდ 11 საათზე გავრცელდა ხმა. არავის არ ჯეროდა. ამ დღეს გამოსულ გაზეთებში არავითარი ცნობები არ იყო. ქუჩები გაივსო. ყველას გაფითრებული სახე ჰქონდა. კიდევ არ იყვნენ დარწმუნებულნი

თეატრალურ მოედანთან „რაბოჩაია გაზეტას“ რედაქციის შენობასთან გამოაკრეს მთავრობის ცნობა, სულ რამოდენიმე სიტყვისაგან შემდგარი:

21 იანვარს ამხ. ლენინის ჯანმრთელობას დაეტყო გაუარესება; საღამოს 5 ნახ. საათზე სულთქმა გაძნელდა და 6 საათ. და 50 წუთზე ვლადიმერ ილიჩი გარდაიცვალა.

კითხულობდენ რამოდენიმეჯერ. წაკითხვის შემდეგ არავინ ადგილიდან არ იძვროდა. ყველა დუმდა.

— ამხანაგო, წაიკითხეთ ხმა მაღლა—მიმართავდენ ახლად მოსულები წინ მდგომთ. უკითხავდენ, მაგრამ ყველას სურდა ცნობის არა სხვისაგან გაგონება, არამედ თვითონ წაკითხვა.

ელვის სისწრაფით ეს ცნობა მოედვა მოსკოვს.

11 საათზე დიდ თეატრში რუსეთის საბჭოების ყრილობის მორიგი სხდომა არის. თვალცრემლიანი კალინინი აცნობებს ყრილობას მწუხარე ამბავს.

— ამხანაგებო, ვერაფერი სიტყვები ვერ გამოთქვამს მას, რაც ახლა უნდა ითქვას. ჩემი ფიქრით უმთავრესი და ძირითადი ამოცანა, რომელიც ეხლა ჩვენს წინაშე სდგას, ეს გამოიხატება იმ მიღწევების შენარჩუნებაში, რომლის შემქმნელი იყო ვლადიმერ ილიჩი.

პასუხად სხდომის დარბაზში ისმის ქვითინი. თვითეული გრძნობდა უზომველ სიცარიელეს ლენინის გარდაცვალებით. სხდომა დახურულია, მაგრამ არავინ არ იძვრის ადგილიდან. ყველას სახის გამომეტყველება ერთ კითხვას იძლევა:—სად წავიდეთ?

ნელა, ჯგუფებად იშლება ყრილობა. დელეგატები ურთდებიან ქუჩას ქუჩა სავსეა, მაგრამ ოდნავადაც ვერ შეამჩნევ სიცოცხლეს. ყველა სასოწარკვეთილებას მოუცვია. ყველგან სიჩუმეა. გაზეთების გამყიდველების ხმაც აღარ ისმის.

საღამოს გამოვა „პრავდა“-ს სპეციალური ნომერი. მოუთმენლად მოელიან. გაზეთების კიოსკებთან წინდაწინვე რიგებში დგებიან. დააგვიან და გაზეთის გამოსვლას რიგები იზრდება. უცდიან რამოდენიმე საათი. თოვლი და ყინვაც არ აშინებსთ. ყველას სურთ გაიგონ დაწვრილებით სამწუხარო ამბავი.

გულშემზარავი ამბავი მოედვა მუშათა რაიონებს. მიისწრაფვიან თავიანთ ქარხნებში.

— ამხანაგებო, ლენინი აღარა გვყავს—გაისმის კრებებზე. მეტის თქმას ვეღარ ახერხებენ, ცრემლები ახრჩობს ყველას. მუშებს, რევოლიუციის ცეცხლში გამოძლილებს, არ სჩვევიათ ცრემლი, მაგრამ ეხლა კი თავს ვერ იკავებენ, სტირიან ილიჩის დაკარგვას, რომელიც შეუპოვრად მიუძღოდა მათ ახალი ცხოვრებისასაკენ.

სოფელი გორკი.

აქ დალია თავისი უკანასკნელი დღეები მან. სოფ. გორკი მოშორებულია მოსკოვს 30 ვერსის მანძილზე. იმყოფება საძნარ ტყეში. ძველებურ სახლში, ქალაქის ხმაურობას მოშორებული, ცდილობდენ ლენინის გამომრთელებას. უკანასკნელ დროს დაეტყო კიდეც გაუმჯობესება. გაზეთებსაც კითხულობდა. იმედი ჰქონდათ ლაპარაკის უნარის აღდგენის ხშირად მარხილით მიჰყავდათ ტყეში ნადირობის საყურებლად მაგრამ არა ადამიანურმა მუშაობამ მისი ორგანიზმი ისე მოტეხა, რომ ვეღარ გაუძლო ავადმყოფობას. 21 იანვარს საღამოს 6 საათზე და 50 წ. მან დალია სული ქარხნების 6 მოზორებით.

გორკის გლეხობამ პირველათ გაიგო ეს ამბავი. შეიკრიბნენ გლეხები ახლო მახლო სოფლებიდან. ოცი ვერსის მანძილზე მდებარე სოფლებიდან მოვიდნენ ქალებიც კი თავიანთი ბავშვებით.

23-ს დილით გორკში ჩავიდენ მოსკოვიდან წამოსასვლელათ ცენ. კომიტეტის და მთავრობის მთელი შემადგენლობა, ყრილობის დელეგატები და ორგანიზაციის წარმომადგენლები გორკიდან სადგ. გერასიმოვამდე ლენინის ცხედარი ჩამოასვენეს ხელით. მოსკოვამდე ყველა სადგურებზე მატარებელს ხვდებოდენ და უკანასკნელათ ეთხოვებოდენ მუშები და გლეხები.

მოსკოვში.

ლენინის ცხედრის ჩამოსვენებას უცდიან პაველეცკის სადგურზე, რომელიც ცენტრიდან საკმაოთ დაშორებულია. ყინვა ამ დღეს მკაცრია. თან ქარი ხელსაც უწყობს. დილიდან სადგური ივსება. კომინტერნი, პროფინტერნი, რ. კ. პ. ცენტ. და მოსკოვის კომიტეტები, მოსკოვის საბჭო, პროფკავშირების საბჭო მთლიანათ აქ არიან. ვერ გაიგონებთ ლაპარაკს. ყველა სდუმს. მატარებელი უნდა ჩამოვიდეს პირველ საათზე.

ჩუმათ ეწყობა საპატიო დარაჯი პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან. ნელა უახლოვდება მატარებელი ბაქანს. ისმის მუსიკის მწუხარე ხმა, სულგანაბულთ, ცრემლებით თვალებზე გადმოაქვთ ძვირფასი მცხედარი კალინინს, ტომსკის, კამენევს, ზინოვიევს, სტალინს და ენუქიძეს.

პროცესია მიიმართება ცენტრისკენ. ახლო მახლო ქუჩები სავსეა ხალხით. წითელი დროშები შავი არშიით—ზედ წარწერები: „ლენინის საქმეს ჩვენ დავამთავრებთ“, „ლენინი მოკვდა რევოლიუცია ცოცხლობს“ „ლენინი ცოცხალია თვითეულ ჩვენგანში“, „უფრო მჭიდროთ შევკრათ რიგები“, „რკინის დისციპლინა ლენინიზმის განხორციელებისათვის“ და სხვა.

პროცესიამ მიაღწია კავშირების სახლს გამოკიდებულია ვეებერთელა პლაკატი წარწერით, რომელიც მოუწოდებს ყველას წინამძღოლის გარდაცვალებას უპასუხონ რიგების შემჭიდროებით და განმტკიცებით. აქ დაასვენეს ლენინის ცხედარი.

მოსკოვი ეთხოვება ძვირფას ბელადს.

ყველას სურვილია უკანასკნელათ, იხილოს დიდი ადამიანის ნეშტი. მიისწრაფიან კავშირების სახლისაკენ. მსურველებისათვის ნახვა თავისუფალია არ არის საჭირო არავითარი ნებართვა. ვისაც კი მოესურვება, ყველას უშვებენ. მსურველების რიცხვი კი რამოდენიმე ასი ათასია. დაიწყო დენა.

თეატრის მოედანი და მისი ახლომახლო ქუჩები გადიქცა ბანაკათ. მოგაგონებდა გზათ გაველილი ჯარის დაბანაკებას. გრძელი რიგები ათასობით მსურველებისაგან და ორგანიზაციებისაგან არ ილეოდა. ღამე და დღე სულ გასწორებული იყო. მოსკოვს არ სძინავდა. მან რამოდენიმე უძილო ღამე გაატარა. ყველა რიგებში იდგა. იდგენ საათობით საშინელ ყინვაში. ერთჯერ ნახვას არ კმარიდენ, რამოდენიმეჯერ რიგებში დგებოდენ.

ყინვა, რომელიც ამ დღეებში უფრო მკაცრი იყო, ვერ აშინებდა ბავშვებსაც. მოდიოდენ მწყობრი რიგებით შუაღამისაც კი. ეპარებოდენ მშობლებს, რომელნიც ყინვაში ღამით ვერ უშვებდენ ბავშვების გაშვებას.

ამ დღეებში მოსკოვის ქუჩები ღამითაც ისე გამოცოცხლებული იყო, როგორც დღით. მოსკოვის განაპირა ცენტრს რამოდენიმე ვერსით დაცილებულ ქუჩებზე ჯგუფებათ მიდიმოდიოდენ. ხშირად გაიგონებდით: „იქიდან მოდიხართ? რიგი დიდია?“. სიტყვა „იქ“ ყველასათვის [illegible] იყო. ის ნიშნავდა კავშირების [illegible] სადაც ლენინი ესვენა.

რამოდენიმე ასიათასმა გაიარა ლენინის ცხედრის წინაშე. დარბაზში სამარისებური სიჩუმე იყო. მხოლოდ ჩუმი ტირილი და მნახველების რიგებიდან გულწასულების შეელა არღვევდა სიჩუმეს. მცხედართან იდგა საპატიო დარაჯი პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან, ძველი რევოლიუციონერებისაგან—ლენინის მოწაფეებისაგან. სახე-შეუცვლელი, მაგრამ ფერწასული. ის თითქოს წინააღმდეგი იყო ასეთი პატივისცემის. მას არ უყვარდა მისდამი პატივისცემით მოქცევა. მახსოვს, ყრილობაზე ლენინს შეხვდნენ ხანგრძლივი მხურვალე ტაშით. ის მხოლოდ თავჩაღუნული უცდიდა გათავებას, რომ ლაპარაკი დაეწყო.

დარბაზი სავსეა გვირგვინებით, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრგან გადაწყვიტეს: „ლენინს არ უყვარდა ასეთები. ფული შევსწიროთ საერთაშორისო რევოლიუციას“. არ იკმარეს, „პატარა“ გვირგვინიც მიიტანეს.

გლოვობს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრი, პროლეტარული მოსკოვი. [illegible] ისმის მხიარულების ხმა. თეატრები, კლუბები, კინოები დაკეტილია. ღიაც რომ იყოს, ვინ შევა? ყველა თავ ჩაქინდრული დადის, მწუხარებას მოუცავს.

ქარხნებში.

„ლენინის საქმეს ჩვენ დავამთავრებთ“—ერთხმად გადასწყვიტა მოსკოვის პროლეტარიატმა. კიდეც შეუდგენ განხორციელებას. უპარტიო მუშები გაეშურენ კომუნისტური პარტიის რიგებისაკენ, იმ პარტიის, რომლის შემქნელი იყო ლენინი. „აღარ გვინდა უპარტიოებათ დარჩენა“—აცხადებენ მუშები, რომელთაც ქარხნებში უმუშავნიათ ათი და ოცი წელი. ყველა ქარხნების იაჩეიკებში შემოდის მუშებისაგან განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. სურვილს აცხადებენ ჯგუფობით. ყველგან ადგენენ:

„მუშათა კლასის ავანგარდის—კომუნისტური პარტიის რიგების გასამტკიცებლად ჩვენ ამა და ამ ქარხნის მუშები, ვაცხადებთ პარტიაში შესვლის სურვილს“.

ლენინის სიკვდილს ასე უპასუხეს მოსკოვის მუშებმა, [illegible]ენიც მას ძალიან ახლოს იცნობენ. ხშირად მოისმენთ მუშების კრებებზე პირადულ მოგონებებს. ბევრს ახსოვს ამ, მტრებისათვის მკაცრი ადამიანის მუშებისათვის ლმობიერი, ამხანაგური მოპყრობა, დახმარების აღმოჩენა, რჩევის მიცემა და სხვა. იგონებენ წერილებს, რაც ამტკიცებს თუ რა უბრალო ადამიანი იყო ლენინი, რომლის შიშით ვერ ისვენებდა მთელი ქვეყნის ბურჟუაზია და აწიც ვერ მოისვენებს, სანამ ისტორიას არ ჩაბარდება იმ მუშების წყალობით, რომელთაც ლენინმა დაუტოვა თავის იდეები და ბრძოლის გამოცდილება.

მწუხარებამ მისცემიან მოსკოვის მუშებს რევოლიუციის წინამძღოლის დაკარგვით, მაგრამ ეს მწუხარება მათ ასალკლდევებთ და უორკეცებთ ბრძოლის წყურვილს. კომუნისტურ პარტიასთან ხელიხელ ჩაკიდებული, ისინი ფიცს სდებენ ლენინის ცხედრის წინაშე იბრძოლონ რევოლიუციის საქმის დასამთავრებლათ.

შეისწავლოთ ლენინიზმი.

— აღარ გვყავს ლენინი, რომლის წყალობით ჩვენ მოგვეცა საშუალება დაგვეწაფებოდით მეცნიერებას,—გაიძახის პროლეტარული სტუდენტების მუშათა ფაკულტეტების მსმენელების კრებებზე.

„იბრძოლეთ ისე, როგორც ლენინი, იბრძოდა და თქვენ გაიმარჯვებთ“—მოუწოდებენ მათ. ყველგან გამოაქვთ გადაწყვეტილება ლენინიზმის კათედრის გახსნის შესახებ. აწყობენ ლენინიზმის შესასწავლათ ჯგუფებს. ყველას სურვილია, რომ მათი მასწავლებელი იყოს ძვირფას მასწავლებლის—ლენინის სახელობის.

ქუჩაში.

დღეს მოსკოვი ასაფლავებს ძვირფას ადამიანის ნეშტს. დაიჭირა მკაცრი ყინვა, რომელიც აღწევს 25 გრადუს. კრემლის კედლები ყინვის ბურუსშია გახვეული. ადამიანს სუნთქვა უჭირს.

ქუჩების ჯვარედინებში ანთია ცეცხლი გამთბობელებისათვის. გათიშებული არ არის. ქუჩები ახმაურდა. ყველა მიეშურება თავიანთ ქარხნებში, დაწესებულებებში, შესაკრებათ დანიშნულ ადგილებზე. 8 საათზე იქ უნდა იყვნენ.

დილიდანვე მოსკოვის ქუჩებზე მიიმართებიან მრავალრიცხოვანი პროცესიები მუშათა რაიონებიდან ცენტრისაკენ. პროცესიებს ბოლო არ უჩანთ.

საფლავი

მისი საფლავი წითელი მოედანია ისტორიული ადგილია. ამ მოედან ახსოვს ბევრი რამ. ძველი რუსეთის მონარქები ამ მოედანზე სჭრიდენ თავს ურჩებს და მეამბოხეთ. მოედნის ყველა ადგილი მორწყულია ადამიანის სისხლით.

ოქტომბრის რევოლიუციაც სისხლიანი იყო ამ მოედნისათვის. აქ არის ძმათა სასაფლავო, სადაც გამარჯვებულმა მუშებმა მიაბარეს მიწას ბრძოლაში გმირულად დაღუპული ამხანაგები.

წითელ მოედანს ახსოვს ლენინის ბრძოლისკენ მომწოდებელი ხმა. ოქტომბერმა ეს მოედანი გახადა პროლეტარიატის საზეიმო ადგილად. აქ ეწყობოდა მიტინგები. აქ დღესასწაულობდენ ყოველ წელს ოქტომბრის რევოლიუციას...

ამ მოედანს აბარებენ უკანასკნელათ ლენინის ცხედარს. დღესასწაული შეიცვალა მგლოვიარებით. აღარ ისმის ილიჩის ხმა ტრიბუნაზე ასვენია უხმო ცხედარი. ნელი ნაბიჯით, უსიტყვოთ, მწუხარებისგან დადუმებული, მოდიან მუშათა რიგები. წითელი დროშები შავი არშიებით იხრებიან ცხედრისაკენ. დროშებზე წარწერა—ეს უკანასკნელი ფიცია: „წინამძღოლის სიკვდილზე ჩვენ უპასუხებთ რიგების განმტკიცებით; ჩვენ ლენინის საქმეს დავამთავრებთ“.

თავს იმაგრებენ. უფრო სუსტნი ვერ უძლებენ და გულწასულები ეცემიან ძვირფასი ცხედრის ახლო. ჩქარი საექიმო დახმარება ვერ აუდის მუშაობას.

ყველა მოუცავს იდუმალ მწუხარებას. ყველა გრძნობს თუ რა უბედურება დაატყდა თავზე საერთაშორისო პროლეტარიატს. მხოლოდ მინინის და პოჟარსკის ძეგლი არ გრძნობს, თუ რა ხდება მის გვერდით წითელ მოედანზე. სპასის კოშკის (კრემლის კედელია) საათი განუწყვეტლივ ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს.

ზუსტ 4 საათზე.

მუშათა პროცესიების გავლა მიმდინარე არ თავდება. რამოდენიმე ვერსის მანძილზე კიდევ გაშლილია პროცესიების მჭიდრო რიგები. საათის ისარი უახლოვდება ოთხს. ოთხ საათზე ლენინის ცხედარს მიაბარებენ საფლავს.

წითელი მოედნის ახლო-მახლო ქუჩები ერთი ვერსის რადიუსით სავსეა აუარებელი ხალხით. ყველა აქ არის. სახლში არავინ დარჩენილა. ყველგან გაიგონებთ: „რამდენი უკლია ოთხს“?

ისარმა მიაღწია ოთხ საათს. ჩამოვარდა სრული სიჩუმე. დადგა წუთი, როცა რევოლიუციის გენიოსის ცხედარს მიაღებს მიწა. ატირდეს ქარხნის ფანტურები (ზორები) მას ხმა მისცა თოფების და ზარბაზნების სამგლოვიარო სალუტმა—ლენინის მშობლიური ბრძოლის ხმამ. რადიო მთელ ქვეყანას ატყობინებს: „ლენინი გარდაიცვალა—ლენინიზმი ცოცხალია“.

გათავდა. კიდევ დიდი ხანი პროცესიები არ იშლებიან. არავის არ სურს მოსცილდეს წითელ მოედანს. აი, აგერ ხუთი წლის ბავშვი ეკითხება დედას:

— დედა, ლენინი მოკვდა?

— მოკვდა,-შვილო!

— მერე, ხომ გააკეთებენ მუშები ახალ ლენინს? გარდაიცვალა რევოლიუციის წინამძღოლი. მისი იდეები დარჩა. მუშათა კლასი—კოლექტიური ლენინია.

ს. გოდაბრელიძე.

მოსკოვი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა დიდი ბრიტანეთის მიერ

ინგლისის ნოტა: საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობაზე წაკითხული იქნა დიდი ბრიტანეთის ნოტა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

პრესა ცნობის შესახებ: ამერიკის ფინანსიური პრესა ინგლისის მთავრობის ნაბიჯს დროშეწონილად სთვლის.

საფრანგეთის პრესა თავდაჭერილად აფასებს საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს.

მილოცვები: ამხ. რაკოვსკიმ მისალოცი დეპეშა გამოუგზავნა საკავშირო ცაკს ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო.

ინგლისის ნოტა

მოსკოვი. 4 თებერვალი საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის 2 თებერვლის სხდომაზე ამხ. ლიტვინოვმა მოახსენა ყრილობას, რომ ინგლისის წარმომადგენელმა მოსკოვში ხოჯსონმა ოფიციალურად აუწყა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დე-იურე ცნობის შესახებ. (ამხ. ლიტვინოვის ცნობას ტაშით შეხვდნენ).

ამხ. ლიტვინოვი კითხულობს ნოტას, რომელიც ხოჯსონმა გადასცა ამხ. ჩიჩერინს:

„საგარეო საქმეთა მინისტრის ინსტრუქციების თანახმად, პატივი მაქვს გადმოგცეთ მისი უდიდებულესობის მთავრობის შემდეგი ცნობა: „ჩემი მთავრობის დავალებით გთხოვთ აცნობოთ თქვენს მთავრობას, რომ ის სცნობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთავრობას იურიდიულად რუსეთის ყოფილი იმპერიის იმ ტერიტორიაზე, რომლებიც ემორჩილებიან მის ძალაუფლებას. სრულიად მეგობრული ნორმალური ურთიერთობის შესაქმნელად და აგრეთვე სრული კომერციული ურთიერთობის დასამყარებლად საჭირო იქნება კონკრეტიული, პრაქტიკული შეთანხმების დადება ზოგიერთი საკითხების გამო, რომელთაგან ერთ ნაწილს არა აქვს უშუალო დამოკიდებულება ცნობის საკითხთან, მეორე ნაწილი კი მჭიდროთ არის დაკავშირებული ცნობის ფაქტთან. ასეთად შეიძლება ჩავთვალოთ არსებული ხელშეკრულებების საკითხი. საბჭოთა მთავრობის ცნობით ავტომატიურად შედის ძალაში ყველა ხელშეკრულებები, რომლებიც დადებული იქნენ ორივე სახელმწიფოების მიერ რუსეთის რევოლიუციამდი, იმ ხელშეკრულებებს გარდა, რომლებსაც ფორმალურად ვადა გაუთავდა ორივე მხარეს სარგებლობა მოითხოვს, რომ ცნობასთან ერთად მოგვარებული იქნეს დამოკიდებულება ამ ხელშეკრულებებისადმი. ცნობასთან ტეხნიკურად არ არის დაკავშირებული, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთავრობების და თითეული ქვეყნის ქვეშევრდომთა ურთიერთობისადმი არსებული პრეტენზიების მოგვარების და აგრეთვე რუსეთის კრედიტის აღდგენის საკითხს. ნათელია, რომ ნამდვილად მეგობრული ურთიერთობა არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ დამყარებულად, სანამ ერთ მხარეს აქვს საფუძველი დასწამოს მეორეს პროპაგანდის წარმოება, რომელიც მიმართულია მისი დაწესებულებების დამხობისაკენ. მისი უდიდებულესობის მთავრობა წინადადებას აძლევს რუსეთის მთავრობას მოკლე ხანში გამოგზავნოს ლონდონში ყველა რწმუნებებით აღჭურვილი წარმომადგენლები ზემოაღნიშნულ საკითხების განსახილველად და აგრეთვე საბოლოო ხელშეკრულების წინასწარი საფუძვლის გამოსამუშავებლად, რომლითაც გადაიჭრება ორივე მხარის მიერ წამოყენებული ყველა საკითხები.“

მე დავალებული მაქვს დავიკავო ინგლისის საქმეთა რწმუნებულის თანამდებობა ელჩის დანიშვნამდი. თავის მხრივ მისი უდიდებულესობის მთავრობა მოხარული იქნებოდა მიეღო რუსეთის რწმუნებული, რომელიც იქნებოდა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი სენ-ჯემსის სასახლესთან“.

საკავშირო საბჭოთა ყრილობის რეზოლიუცია

ამხ. ლიტვინოვი საკავშირო მთავრობის სახელით წინადადებას აძლევს ყრილობას მიიღოს შემდეგი დადგენილება:

მოისმინა რა ცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიდი ბრიტანეთის მხრივ იურიდიულათ სრული ცნობის და აგრეთვე ამ ორ სახელმწიფოს შორის სრული ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეორე ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს ისტორიული ნაბიჯი არის მუშათა კლასის მიერ წამოყენებული მთავრობის ერთი პირველ აქტთაგანი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მუშურ-გლეხურმა მთავრობამ, რომელიც დიდმა რევოლიუციამ წამოაყენა, თავისი უპირველეს ამოცანად დაისახა ბრძოლა მშვიდობიანობისათვის და მთელი თავისი არსებობის პერიოდში ცდილობდა ნორმალური ურთიერთობა დაემყარებია ყველა ერებთან. სამწუხაროდ ბრიტანეთის არც ერთი წინანდელი მთავრობა არ უხვდა კეთილგანწყობილებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ამ მისწრაფებებს. ჯერ კიდევ წარსული წლის მაისში ინგლისის დიპლომატიამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დააყენა ულტიმატუმის ფაქტის წინაშე, რომელიც ჩაშლით ემუქრებოდა დაწყებულ საკავშირო ურთიერთობას და ქმნიდა ევროპაში მშვიდობიანობის დარღვევის პირდაპირ საფრთხეს. ინგლისის მუშათა კლასი მთელი ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მშრომელთა ერთგული [illegible] იყო. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერებს ახსოვთ ინგლისის მშრომელი მასების და აგრეთვე ინგლისის საზოგადოების მოწინავე ნაწილის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყვნენ ბოიკოტის შეწყვეტის, ბლოკადის მოხსნის და სამხედრო ინტერვენციისათვის ბოლოს მოღებისაკენ. ისინი ანგარიშს უწევენ იმას, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა წარმოადგენს დაჟინებითი ნებისყოფის შედეგს ინგლისის ხალხისას, რომელიც ერთსულოვნად მოითხოვდა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკურ ცნობას, როგორც აუცილებელ პირობას საყოველთაო ზავის განსამტკიცებლად, იმპერიალისტური ომის მიერ დანგრეული მსოფლიო მეურნეობის აღსადგენად, კერძოდ კი თვით ინგლისში სამრეწველო კრიზისთან და უმუშევრობასთან წარმატებით ბრძოლისათვის. ამ გაერთიანებული ღონისძიებების და საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი პოლიტიკას ლენინის მეთაურობით და აგრეთვე ინგლისის ხალხის კატეგორიულათ გამოთქმულ ნებისყოფის შედეგათ მოყვა ბოლოს ნორმალური ურთიერთობის დამყარება ორ ქვეყანას შორის იმ ფორმით, რომელიც შეეფერება დიდ ერებს და რომელიც საძირკველს უყრის მათ მეგობრულ თანამშრომლობას. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის.

მძიმე ატმოსფეროში, რომელშიც ჩასახულია ახალი მსოფლიო შეტაკებების საფრთხე, რაც საფუძვლიანად შიშს იწვევს ყველა ქვეყნების მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა, პარასკევს, 8 თებერვალს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი წამოაყენონ თვით იაჩეიკებმა და რაიკომებმა.

ტ. კ. მდივანი რუბენი.

დაარსდა ფუფუნების წინააღმდეგ მებრძოლი კომისია

რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: სტურუა თავმჯდომარე, ხუმარიანი, აგაევი, მორჩილაძე და სააკიანი.

მორიგე წევრი ამხ. აგაევი იღებს ყოველ დღე 11 საათიდან 1 საათამდე და 5 საათ. 7 საათამდე, ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის შენობაში (რტიშჩევის ქ. № 4), გარდა პარასკევისა და კვირისა. განცხადებების გაგზავნა შეიძლება ფოსტითაც გვარისა და საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. უსახელო წერილები განხილული არ იქნება.

რ. კ. პ. ა/კ. ს. ს. კ. არსებული ფუფუნებასთან მებრძოლი კომისია.

მელ მასებში, ინგლისის მუშათა მთავრობის ამ ნაბიჯს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეორე ყრილობა აცხადებს, რომ ინგლისის ერების თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან მომავლისათვისაც შეადგენს ზრუნვის საგანს საკავშირო მთავრობისას, რომელიც, თანახმად თავისი წინანდელი მშვიდობიანი პოლიტიკისა, ყველა ღონისძიებებს იხმარს ყველა სადაო საკითხების და გაუგებრობათა მოსაგვარებლად, ეკონომიური კავშირის განსავითარებლად და განსამტკიცებლად, რაც ესოდენ საჭიროა ორივე ქვეყნის და აგრეთვე მთელი მსოფლიო სამეურნეო და პოლიტიკური წარმოებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეორე ყრილობა ძმურ ხელს უწვდის ინგლისის ხალხს და ავალებს საკავშირო მთავრობას მიიღოთ ინგლისის მთავრობის მიმართ ყველა ზომები, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა მთავრობის ცნობის ფაქტიდან!

რეზოლიუცია მიღებულია ყრილობის მიერ ერთხმად.

დასასრულ ამხ. ლიტვინოვი აქვეყნებს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. რაკოვსკის მისასალმებელ დეპეშას ლონდონიდან ყრილობისადმი.

მილოცვები

რუსეთში

ამხ. რაკოვსკის წინასწარი დეპეშა.

მოსკოვი. 4 თებერვალი. საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა შემდეგი დეპეშა მიიღო ამხ. რაკოვსკისაგან: „**მულოცავ საბჭოთა კავშირს და გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის ხელმძღვანელებს საბჭოთა კავშირის ცნობის აქტს.** გთხოვთ გადასცეთ ჩემის, როგორც საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის წევრის, სახელით შემდეგი მისალმება ყრილობის წევრებს: „**საბჭოთა რესპუბლიკების მუშების და გლეხების მედგარმა ბრძოლამ და საკავშირო მთავრობის მშვიდობიანმა პოლიტიკამ სასურველ მიზანს მიაღწია.** ინგლისის მუშათა მთავრობამ, რომელიც არის ინგლისის ხალხის საერთო სულიერი განწყობილების გამომხატველი, თავის არსებობის დასაწყისში სცნო მუშურ-გლეხური საბჭოთა კავშირის კანონიერი უფლება პოლიტიკურ თანასწორობაზე. **ერთხელ კიდევ მთელი ქვეყანა რწმუნდება, როგორ გრძელდება და მტკიცდება ძვირფასი ილიჩის საქმე.** გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს ხალხთა ძმობას.“

მადლობის გამოცხადება ამხ. კრასინისათვის, რომელმაც მოამზადა ცნობა.

მოსკოვი. 4 თებერვალი. რაკოვსკი სთხოვს გარეშე საქმეთა სახ. კომისარს გადასცეს სალამი ამხ. კრასინს, მის მიერ ინგლისში შესრულებულ მოსამზადებელ მუშაობისათვის.

ინგლისში

პირველ საჭიროების ამოცანა.

ლონდონი. 2 თებერვალი. გარეშე საქმეთა მინისტრმა პონსონბი უაიზმა მიულოცა რაკოვსკის საბჭოთა კავშირის ცნობა: რაკოვსკისათვის გაგზავნილ წერილში პონსონბი უაიზი აღნიშნავს, რომ მიუხედავათ აუარებელ სამუშაოებისა, რომლის შესრულება თავს იდვა მაკდონალდმა პრემიერის თანამდებობის მიღების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ცნობა მოხდა მისი მართვა-გამგეობის პირველ 10 დღის შემდეგ.

სამი მიზეზი

კ. რადეკის წერილი.

მოსკოვი. 3 თებერ. ამხ. რადეკი, „პრავდაში“-ში მოთავსებულ წერილში, საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ სწერს, რომ ამ გადახრას ევროპის ყველაზე უფრო კაპიტალისტურ სახელმწიფოს პოლიტიკაში აქვს სამი მიზეზი.

პირველი—ეს არის ძალა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა, რომელიც იგრძნო პირველათ ინგლისმა აშკარა ინტერვენციის დამარცხების დროს.

მეორე მიზეზი—ეს არის საერთაშორისო ბურჟუაზიის დაშლა. ინტერვენციის იდეას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საფუძვლათ ჰქონ და ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მტკიცე ერთიანი ფრონტის შექმნა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ; ეს წინასწარი პირობა შემდეგ განხორციელებულ იქნა ვილსონის იდეაში ერთა ლიგის შესახებ, რომელიც მკვდრათ დაბადებული აღმოჩნდა, რადგან მასში არ შევიდა ამერიკა. ამერიკის არ ყოფნას ერთა ლიგაში თან ახლავს ამერიკის კაპიტალიზმის ბრძოლა ევროპიულ და შორეულ აღმოსავლეთის კაპიტალთან.

მესამე მიზეზი—ეს არის განხეთქილება ინგლისის ბურჟუაზიაში და მუშათა პარტიის გამარჯვება*).

*) ამხ. რადეკის მთელი წერილი დაიბეჭდება ხვალ.

რ ე დ.

პრესა ცნობის შესახებ

ინგლისში

ზედმიწევნითი დიპლომატიური ნაბიჯი

ლონდონი. 2 თებერვალი. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ცნობამდე ლიბერალური გაზ. „დეილი ნიუზი“, ესალმებოდა რა კამენევის გამოსვლას საბჭოთა ყრილობაზე, აღნიშნავდა, რომ **დიდი ბრიტანეთის მიერ საბჭოთა კავშირის მთავრობის ცნობა არის ზედმიწევნითი დიპლომატიური ნაბიჯი, რომელიც გადადგმულია ომის დასრულების შემდეგ.**

„დეილი ტელეგრაფის“ აზრი.

ლონდონი. 2 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ“-ი სთვლის ცნობას უბრალო ფორმალობად, ვინაიდან იგი არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი მთელ რიგ რთულ მოლაპარაკებისაკენ.

საფრანგეთში

ფარული შიში.

ლონდონი. 2 თებერვალი. „პტი პარიზიენი“ სცდილობს დაამტკიცოს რომ ინგლისის მთავრობა საბჭოთა კავშირის ცნობას თან ურთავს მთელ რიგ შენიშვნებს, რომელნიც ამტკიცებენ ინგლისის დიპლომატიის წინდახედულობას. „მატენ“-ი სწერს, რომ **საბჭოთა კავშირის ცნობა ინგლისისა და იტალიის მიერ გამოწვეულია ამ ქვეყნების მძიმე შინაური მდგომარეობით.**

აშკარა შიში.

ლონდონი. 2 თებ. **საფრანგეთის მემარცხენე პრესას აფიქრებს საფრანგეთის მდგომარეობა.** რადიკალური „ერ ნუველ“-ი შიშობს, რომ ინგლისი, დაამყარებს რა მეგობრულ დამოკიდებულებას ბერლინთან და მოსკოვთან, ხელმძღვანელობას გაუწევს მთელ კონტინენტალურ პოლიტიკას.

გაზეთი ურჩევს საფრანგეთს ხელახლა შეუთანხმდეს ინგლისს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მარტო დარჩება.

„ეკო დე პარი“ აღნიშნავს, რომ **მოსკოვს წილათ ხვდა დიდი გამარჯვება;** გაზეთი აღნიშნავს ყველა იმ მატერიალურ და მორალურ სარგებლობას, რომელსაც მიიღებს საბჭოთა კავშირი **იურიდიულათ** ცნობისაგან, მაგრამ სცდილობს დაამშვიდოს საფრანგეთის ეკონომიური წრეები იმაზე მითითებით, თუ როგორ სიძნელესთან არის დაკავშირებული ეკონომიური ურთიერთობათა აღდგენა საბჭოთა კავშირთან.

კეთილი ნიშანი.

ლონდონი. 2 თებერვ. **ესალმება რა საფრანგეთის კომუნისტების სახელით პროლეტარულ რესპუბლიკის გამარჯვებას, „იუმანიტე“ ამბობს: „ეს კეთილი ნიშანია საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობისათვის“!**

ამერიკაში

დიდი ნაბიჯი ევროპის აღორძინებისაკენ.

ნიუ-იორკი. 2 თებ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, სენატორმა ბორამ განაცხადა, რომ **საბჭოთა კავშირის ცნობა ინგლისის მთავრობის მიერ დიდი ნაბიჯია ევროპის აღორძინებისაკენ.** ცნობამ უკვე გავლენა მოახდინა გირ. სტერლ. კურსზე, რომელიც თანდათან იწევს.

საფინანსო პრესის კომენტარიები.

ნიუ-იორკი. 2 თებერვალი. საფინანსო პრესა სტერლ. კურსის გადიდებას ბირჟაზე უკავშირებს საბჭოთა კავშირის ცნობას ინგლისის მიერ. ფინანსიური „ნიუ-იორკ ტრიბუნ“-ი აცხადებს, რომ ფინანსიური წრეები საბჭ. კავშირის ცნობას სთვლიან შემდეგ ნაბიჯათ, რომელიც მოსპობს ყველა იმ პოლიტიკურ ცრუმორწმუნეობას, რომელიც ხელს უშლიდა ევროპის ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობას ომის შემდეგ.

საბჭოთა კავშირის ცნობა იტალიის მიერ

რომი. 4 თებერვ. **დღეს იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში ხელს მოაწერენ რუსეთ-იტალიის ხელშეკრულებას. იორდანსკი წარადგენს რწმუნების სიგელს საბჭოთა კავშირის ელჩის თანამდებობაზე. ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება მეფის დეკრეტით.**

პარიზი. 4 თებერვალი. რომის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ რუსეთ-იტალიის ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერენ დღეს. მასში შევა: სავაჭრო ხელშეკრულება, საბაჟო კონვენციები, რომელიც შევსებული იქნება დამატებითი შეთანხმებებით. ხელშეკრულების პირველი მუხლები გულისხმობენ საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობას იტალიის მიერ.

სხვადასხვა

ინგლისი

სრული სიჩუმე.

ლონდონი. 31 იანვარი. მანჩესტერში უმუშევრებმა მოაწყეს დიდი დემონსტრაცია და მიტინგი. მიტინგზე დამსწრე ხალხი რამდენიმე წუთის განმავლობაში ქუდმოხდილი იდგა სრულის სიჩუმით, და ამით სცეს პატივი ლენინის ხსოვნას.

უმთავრესი ამოცანები.

ლონდონი. 31 იანვარი. ინგლისის მუშათა მთავრობის წევრები ამჟამად უმთავრესად იცნობიან და იკვლევენ სოფლის მეურნეობისა და უმუშევართა მდგომარეობას.

დანია

რუსეთის პური.

სტოკჰოლმი 31 იანვარი. ჰელსინგფორში შეუდგნენ სამხრეთ-რუსეთის ნავთსადგურებიდან 5000 ტონა პურით დატვირთული გემის „კრონბერგ“-ის გადმოტვირთვას.

რუმინეთი

რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობა.

ვენა. 31 იანვ. **რუმინეთში დაპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს კომუნისტური პარტიის ბელადი — დობრჯანუ.**

წინათ დაპატიმრებულმა ნაუტერმა მეორეჯერ გამოაცხადა შიმშილობა. რუმინეთის „ოხრანკა“-ს დაპატიმრებული კომუნისტები გადაჰყავთ შორეულ ციხეებში. კლიაუზენბურგის სამხედრო სასამართლოში დაიწყო ახალგაზრდობის კომკავშირის 26 წევრის გასამართლება; უკანასკნელებს ბრალს სდებენ კომუნისტურ აგიტაციაში, სახელმწიფოს საწინააღმდეგო შეთქმულებაში, საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის დაჭერასა და ბოისკაუტის სახით სამხედრო რაზმების მოწყობაში.

კომპარტიას ეკრძალება ლენინის ხსოვნის საჯაროთ პატივისცემა.

საკავშირო ცაკის სესია

არჩევნები.

მოსკოვი. 4 თებერვალი. 2 თებერვალს შესდგა საკავშირო ცაკის პირველი სესიის სხდომა ამხ. ნარიმანოვის თავმჯდომარეობით. ამხ. ენუქიძემ განაცხადა, რომ თანახმათ კონსტიტუციისა, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმში არჩეულ უნდა იქნეს 21 წევრი, რომელთაგან შვიდი—საკავშირო საბჭოდან, შვიდი—ეროვნებათა საბჭოდან და 7 წევრი კიდევ არჩეული უნდა იქნეს საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შეერთებულ სხდომაზე. ამხ. ენუქიძემ გამოაქვეყნა საკავშირო საბჭოს მიერ არჩეულ წევრების სია: ამხ. ტომსკი, ცურიუპა, ალექსანდრე სმირნოვი, რაკოვსკი, კურსკი, ჩუბარი, მიასნიკიანი.

კანდიდატები: კისელიოვი, სმიდოვიჩი, დოგადოვი, ტოლოკონცევი, კვირინგი, ტერ-გაბრიელიანი, მუსაბეკოვი.

ამხ. სკრიპნიკმა გამოაქვეყნა ეროვნებათა საბჭოს მიერ დასახელებულ წევრთა სია: ამხ. ანდრეევი, რუდზუტაკი, კლეიბიშევი, სკრიპკინი, ფრუნზე, ცხაკაია, იგნატოვსკი.

კანდიდატები: გიულლინგი, კურმაკოვი, გრინკო, უგაროვი, ელიავა, ბოგუცკი.

საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შეერთებულ სხდომაზე პრეზიდიუმის წევრებათ დასახელებული იქნენ შემდეგი ამხანაგები: კალინინი, პეტროვსკი, ნარიმანოვი, ჩერვიაკოვი, ენუქიძე, სტალინი, კამენევი.

კანდიდატებათ: ლუტოვინოვი, მოლოტოვი, კუტუზოვი, ისლამოვი, კლიმენკო, შუმსკი.

კონსტიტუციის თანახმათ, საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს წევრებს კენჭს უყრიან ცალ-ცალკე. ორივე სია დამტკიცებულია ერთხმათ.

(არჩეული ამხანაგები, რომელთაც აპლოდისმენტებით ხვდება ცაკის სესია, იჭერენ ადგილებს პრეზიდიუმში).

ცაკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეებათ ერთხმათ არჩეული არიან ამხ. ამხ. კალინინი, პეტროვსკი, ნარიმანოვი, ჩერვიაკოვი. მდივნათ ენუქიძე.

საბჭოთა კავშირის მთავრობის არჩევა

მოსკოვი. **საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ალექსი ივანეს ძე რიკოვი, რომელსაც აპლოდისმენტებით ხვდება ცაკის სესია.**

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებათ არჩეულნი არიან ამხ. **კამენევი, ცურიუპა, ორახელაშვილი, ჩუბარი, ამასთანავე ამხ. კამენევი არჩეულია აგრეთვე შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეთ, ცურიუპა—სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს თავმჯდომარედ.**

ერთხმად არჩეულნი არიან: გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი—ამხ. ჩიჩერინი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი—ამხ. ტროცკი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი—კრასინი, გზათა სახალხო კომისარი—ამხ. რუდზუტაკი, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი—ამხ. ივანე სმირნოვი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი—ამხ. კუიბიშევი, შრომის სახალხო კომისარი—ამხ. შმიდტი, სასურსათო სახალხო კომისარი—ამხ. ბრიუხანოვი, ფინანსთა სახალხო კომისარი—ამხ. სოკოლნიკოვი, ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე—ამხ. ძერჟინსკი.

რუსეთის ცაკის სესია

არჩევნები.

მოსკოვი. 4 თებერვალი. 2 თებერვალს ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით გაიხსნა სრულიად რუსეთის ცაკის პირველი სესია. ამხ. მოლოტოვის წინადადების თანახმად, პრეზიდიუმში არჩეული არიან 17 წევრი: ამხ. ამხ. დოგადოვი, ენუქიძე, ზალუცკი, ისლამოვი, კალინინი, კამენევი, კისელიოვი, კურსკი, მენდიში, მოლოტოვი, როგოვი, სმიდოვიჩი, ალექსი სმირნოვი, სტალინი, ტოლოკონცევი, ტომსკი, ცურიუპა. კანდიდატებათ არჩეულნი არიან ამხ. ამხ. ლუტოვინოვი, აიტაკოვ, სარდგალიევი, კუტუზოვი, ბელობოროდოვი, პრავდინი, ნოგინი, ავანესოვი, იაკოვენკო, ლიუბიმოვი, ანტიპოვი, პახომოვი, ცვეტკოვი, კომაროვი.

ამხ. მოლოტოვის წინადადების თანახმათ, სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. კალინინი (ხანგრძლივი აპლოდისმენტები).

სრულიად რუსეთის ცაკის მდივნათ არჩეულია ამხ. კისელიოვი.

ამხ. ენუქიძის წინადადების თანახმათ, რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რიკოვი. სახალხო კომისართა საბჭო დამტკიცებული იქნა შემდეგი შემადგენლობით: ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე—ამხ. ბოგდანოვი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. სმირნოვი, სასურსათო სახალხო კომისარი—ამხ. კალმანოვიჩი, ფინანსთა სახალხო კომისარი—ამხ. ვლადიმიროვი, შრომის სახალხო კომისარი—ამხ. ბახუტოვი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—ამხ. ბელობოროდოვი, იუსტიციის სახალხო კომისარი—ამხ. კურსკი, განათლების სახალხო კომისარი—ამხ. ლუნაჩარსკი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი—ამხ. იაკოვენკო, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი—ამხ. შვერნიკი. არჩევნების შემდეგ სესიის სხდომა დაიხურა.

თვითმფრინავ „ილიჩი“-სათვის

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილებამ დაიწყო ხელისმოწერა გაზ. „რაბოჩაია პრავდა“-ში თვითმფრინავ „ილიჩ“-ზე.

ბრძოლის ძეგლი ვლადიმერ ილიჩ ლენინისათვის უფრო ღირსეული და შესაფერია პროლეტარული რევოლიუციის ამ დაუღალავი მებრძოლის ხსოვნისათვის.

ხელი მოაწერეთ თვითმფრინავ „ილიჩ“ ზე ყველამ, ვისაც კი სურს ჩვენი მონაპოვარის განმტკიცება.

ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ვლადიმერ ილიჩის ხსოვნა, შემოიტანეთ შემოწირულება, გამოიწვიეთ ამხანაგები, ყოველივე ძალღონე იხმარეთ იმისათვის, რათა თვითმფრინავი „ილიჩი“ აშენებულ იქმნეს უახლოეს ვადაში, რომ თვითეულ მუშას, მოქალაქეს თამამად შეეძლოს იმის თქმა, რომ მანაც მიიღო მონაწილეობა **ვლადიმერ ილიჩ ლენინისათვის** ბრძოლის ძეგლის აგებაში.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილება.

საკავშირო საბჭოთა ყრილობა

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენების გაგრძელება

სხვა შემოსავლებიდან, რომელთაც გადასახადი ხასიათი არ აქვთ, ამხ. ვლადიმიროვი აღნიშნავს სატყეო საქმეს. სატყეო საქმემ მიმდინარე წელში უნდა მოგვცეს 45 მილ. მან. 15 მილ. მან. წინააღმდეგ, რომელიც იყო წარსულ წელში. ამ საქმეს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ჩვენი სახელმწიფო წარმოებები მიმდინარე წელში სატყეო მრეწველობასთან ერთად მოგვცემენ 25—30 მილ. მან. შემოსავალს. ეს ძალიან ბევრია იმ ნოლთან შედარებით, რომელიც მივიღეთ ჩვენ წარსულ წელში, მაგრამ ძალიან ცოტაა იმ კაპიტალთან შედარებით, რომელიც დაბანდებულია ყველა ამ წარმოებებში. აუცილებელია დაჩქარებული იქნეს ყოველივე სამრეწველო, სავაჭრო და სოფლის-სამეურნეო წარმოებების ბალანსის განხილვა; აუცილებელია კრეთვე გამორკვეული იქნეს მოგების რაოდენობა, რომელიც უნდა ხმარდეს სახელმწიფოს და, უმთავრესათ, გამორკვეული იქნეს ის გზები და წყაროები, რომელნიც საშუალებას მოგვცემენ ჩვენ გავადიდოთ ჩვენი წარმოებების რიცხვი.

წინწარი ცნობების მიხედვით, წარსული წლის ბიუჯეტი გამოიხატებოდა 1.420 მილ მან. 1923 24 წ. ბიუჯეტი, ფინანსთა სახალხო კომისარიატის პროექტის თანახმათ, შეადგენს დაახლოვებით 1,710 მილ. მან. პროექტმა არ დააკმაყოფილა სხვადასხვა უწყებები და ისინი გზავნიან დამატებით მოთხოვნილებებს. მაგრამ ამ ციფრის გადიდება არ შეიძლება. ბიუჯეტის საბოლოო დამტკიცება იგვიანებს. საჭირო იქნება დიდი მუშაობა ცალკე უწყებების სხვადასხვა ინტერესების შესათანხმებლათ.

ამხ. ვლადიმიროვმა ფულის ტრიალის რეფორმის შესახებ სთქვა, რომ ორი ვალიუტის—ჩერვონეცის და საბჭოთა ფულის ნიშნების სისტემა გაუქმებული უნდა იქნეს. მაგრამ ეს საკითხი მეტათ დიდი მნიშვნელობის საკითხია და ამიტომ მას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. რომ დავამთავროთ ფულის რეფორმის საქმე, ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა ჩვენი სახელმწიფო და ფინანსიური მეურნეობის მოწესრიგება. ჩვენ უნდა დავაჩვიოთ ჩვენი მრეწველობა და ჩვენი წარმოებები ჩვეულებას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ისინი ყოველ გაჭირვებულ დროს მიმართავენ დახმარებისათვის სახელმწიფოს და მოითხოვენ მისგან ფულებს. რატომ შევაჩერეთ ჩვენ ფულის ტრიალის რეფორმის გატარებას, სანამ გამოირკვა, რომ ჩვენი მეურნეობა სერიოზულ გაჯანსაღების გზაზე დგა. მხოლოდ ამჟამად დადგა მომენტი, როდესაც შეიძლება საბჭოთა ფულის ნიშნების, რომელნიც თანდათან ეცემიან, ხაზინის მტკიცე ბილეთით შეცვლა.

ფინანსიურ ხასიათის ყველა ღონისძიებებს, რომელთაც ჩვენ ეხლა ვიმუშავებთ, შეუძლიათ მოგვცენ ჩვენ ჩვენი კავშირის მწარმოებელ ძალების მაქსიმალური განვითარება და მაქსიმალური გაქანება, ისინი ხელს შეუწყობენ საქონლის ტრიალის განვითარებას იმ მხრივ, რომ დამყარებული იქნება მჭიდრო კავშირი გლეხობასა და მუშებს შორის. მაგრამ, მარტო ფინანსიური ღონისძიებები არ არის საკმარისი. თუ ამავე დროს მიღებული არ იქნება ზომები მთელი ჩვენი მეურნეობის, ვაჭრობის და მრეწველობის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის, ისე ძნელია რაიმე იმედი გვქონდეს მათი მტკიცე და თანდათანობითი განვითარებისა. სანამ ჩვენ არ ვისწავლით იაფათ დავამზადოთ საქონელი იმ ქვეყანაში, რომელსაც არ შეუძლია ბევრის გადახდა, სანამ ჩვენ არ ვისწავლით კომერციული სისწორით და იაფად ვვაჭროთ, სანამ ჩვენ არ ვისწავლით გამოვნახოთ მყიდველი და თავის დროზე მივაწოდოთ მას სწორეთ ის საქონელი, რომელიც მას სჭირდება—მანამ ღონისძიებებს, როგორი კარგიც არ უნდა იყვნენ ისინი თავისთავათ, არ შეუძლიათ გააჯანსაღონ ჩვენი მეურნეობა. საჭიროა, რომ საბჭოების ყრილობამ კატეგორიულათ გამოსთქვას აზრი ჩვენი მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის ყველა პირობების გაჯანსაღების სასარგებლოთ.

კამათი ფინანსთა სახალხო კომისარის მოხსენების გარშემო.

ამხ. ინკინი აღნიშნავს ზოგიერთ დეფექტებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაობაში. ის აღნიშნავს, რომ გადასახადთა ცენტრალურ სამმართველოს უკანასკნელ განკარგულების გამო, ადგილებს ერთმევათ უფლება გადასახადის გაწერისა თავის სასარგებლოთ. ამხ. ინკინი წინადადებას იძლევა ეს დეფექტები აღნიშნული იქნეს ყრილობის რეზოლიუციაში და დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოასწოროს ისინი.

ამხ. ლარინი აღნიშნავს აუცილებლობას გაძლიერებული იქნეს ბურჟუაზიის დაბეგვრა. პირველ ყოვლისა შესწორებული უნდა იქნეს დაუმთავრებლობა არსებულ კანონ[illegible] შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შესახებ. ნოემბერში დაწესებული გადასახადის ნორმები, როდესაც ისინი გამოყენებული იქნენ მსხვილი ბურჟუაზიის კატეგორიის მიმართ, უფრო ნაკლები აღმოჩნდენ, ვიდრე 27 ივლისის კანონის მიერ დაწესებული სათანადო ნორმები; ეს ნორმები ბურჟუაზიის საშუალო და დაბალ ფენების დაბეგვრის საქმეში გაცილებით მეტი აღმოჩნდენ იმ ნორმებზე, რომელთაც აწესებს 27 ივლისის კანონ

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ლონდონიდან გამოგზავნილი რადიო გადმოგვცემდა, რომ ინგლისის მუშათა მთავრობამ გადასწყვიტა იცნოს იურიდიულად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ამის შესახებ შესაფერისი პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა.

მაკდონალდის მთავრობას არც მუსოლინის მთავრობაც ჩამორჩა: რადიო ბერლინიდან გვაუწყებდა, რომ იტალიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიაც, სცნობს რა უკანასკნელს იურიდიულად, წინადადებას აძლევს მას მოხდეს პრაქტიკული შეთანხმება სადაო საკითხების შესახებ.

ამგვარად კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფრონტი დაირღვა საბჭოთა რესპუბლიკების ცნობის საკითხში და ის პროცესი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად დაიწყო ჩვენს კავშირთან ეკონომიური დამოკიდებულების განმტკიცების სახით ზოგიერთ სახელმწიფოთა მხრით, დღეს თავის შესაფერ ლოღიკურს დასკვნამდე მიდის. ეს არის უდიდესი გამარჯვება, რომელიც კი შეეძლო მოეპოვებია საბჭოთა რესპუბლიკებს თანამედროვე საერთაშორისო პირობებში, როდესაც ჩვენი კავშირი ირგვლივ გარს შემორტყმული არის უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნებით.

ჩვენი რესპუბლიკების ცნობა კაპიტალისტურ ქვეყნების მხრით არის იმის საწინდარი, რომ ჩვენ ნორმალურს ეკონომიურ ურთიერთობას გავაბამთ ამ სახელმწიფოებთან, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი კავშირის პოლიტიკურსა და ეკონომიურ აყვავებასა და დაწინაურებას.

საბჭოთა რესპუბლიკებთან დამოკიდებულების საკითხში კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დიპლომატებმა მეტად საგრძნობი დამარცხება განიცადეს. დღევანდელი აქტით ჩვენ დიპლომატებს თამამად შეუძლიათ იდღესასწაულონ თავიანთი ბრწყინვალე გამარჯვება ევროპის გაქნილ დიპლომატებზე.

ანტანტის მოკავშირეებმა—პირველ რიგში კი ინგლისმა და შემდეგ იტალიამ,—საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საქმეში სამი მთავარი პერიოდი განვლეს.

პირველი პერიოდი გაგრძელდა ოქტომბრის გადატრიალებიდან 1921 წ. მარტის ცნობილ სავაჭრო ხელშეკრულებამდე ინგლის-რუსეთს შორის. ამ ხანებში მოკავშირენი ცდილობდენ შეარაღებული ძალით მოესპოთ საბჭოთა რესპუბლიკები და ბურჟუაზიული მთავრობა აეყვანათ ტახტზე.

მეორე პერიოდი დაიწყო აღნიშნულ ხელშეკრულებიდან და გაგრძელდა დღემდე; ამ ხანაში ანტანტამ ხელი აიღო ფორმალურად საბ. რესპუბლიკებზე თავდასხმის საკითხში, სამაგიეროდ ეკონომიური ბლოკადა არ მოხსნა და კვლავ ცდილობდა შინაური კრიზისების შექმნით,—აჯანყებებისა და ბანდიტური მოძრაობების მოწყობის სახით,—აეძულებინა საბჭოთა კავშირი დიდ დათმობებზე წასულიყო.

მესამე პერიოდი იწყება დღიდან, როდესაც ანტანტის წევრებმა—ინგლისმა და იტალიამ იურიდიულად იცნეს ჩვენი კავშირი და ამით ანტანტის ვითომდა მთლიანი ფრონტით გამოსვლა რუსეთის საკითხში ფორმალურადაც დაირღვა.

რევოლიუციონური რუსეთის საკითხმა თავიდანვე საკმაოდ მოზრდილი უთანხმოება ჩაუყარა საფუძვლები ანტანტის მოკავშირეთა შორის. ეს უთანხმოება ფორმალურად ამდენხანს სწყდებოდა ფარულად თვით ანტანტის შიგნით, დღეს კი სააშკარაოზე გამოვიდა და ანტანტის მოკავშირენი ფაქტიურად დააყენა ერთიმეორეს წინააღმდეგ.

ოქტომბრის დიდი რევოლიუციით ყველაზე უდიდესი საფრთხე იგრძნო კაპიტალისტურმა ინგლისმა, რომელიც აზიის უდიდესი ქვეყნების მფლობელი არის და რომლის ბედი სავსებით დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზრების მდგომარეობისაგან. ოქტომბრის რევოლიუციის გმირებმა მედგრად ასწიეს მაღლა საერთაშორისო რევოლიუციის დროშა და თავიანთი რევოლიუციონური შემოქმედებით აფეთქებას უპირებდენ მთელს კაპიტალისტურს მსოფლიოს. ბოლშევიზმის რევოლიუციონური სტრატეგია ორის გზით მიემართებოდა: ერთის მხრით იგი უშუალოდ ევროპის კონტინენტზე ანთებდა რევოლიუციონურ ცეცხლს, რომელმაც თავისი ნაყოფი გამოიღო ჰუნგრეთის, გერმანიისა და სხვათა, რევოლიუციონური მოძრაობის სახით, მეორეს მხრით, კი რუსეთის კომუნარების პოლიტიკა მიემართებოდა აღმოსავლეთის კოლონიალურ ერების აჯანყებისაკენ, იმ ერების, რომელთაც სტანჯავდა ევროპის იმპერიალიზმის ათეული წლების ბატონობა და რომელნიც გამოაფხიზლა და მოძრაობაში მოიყვანა საერთაშორისო ომმა. ამ ერებზე უდიდესი გავლენა მოახდინა ოქტომბრის რევოლიუციის ბრწყინვალე ლოზუნგებმა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა და იმპერიალიზმის ბატონობის მოსპობის შესახებ.

ბოლშევიკების ასეთმა პოლიტიკამ უდიდესი საფრთხე განუმზადა კაპიტალისტურ ინგლისს, რომლის სიძლიერე და ეკონომიური ბატონობა დამყარებული არის ჩამორჩენილ ქვეყნების ექსპლოატაციაზე.

საერთაშორისო ომის დამთავრების შემდეგ მთელი კაპიტალისტური ევროპა „რევოლიუციის საფრთხის“ ქვეშ მოექცა: ომმა არ გაუმართლა მშრომელ მასებს იმედები; მასთანავე მან გამოიწვია უდიდესი ეკონომიური კრიზისი და გააღატაკა მუშათა კლასი. ევროპის კონტინენტი რევოლიუციონურმა ციებ-ცხელებამ შეიპყრო: პროლეტარიატის ამბოხებამ და რევოლიუციონურმა მოძრაობამ განსაკუთრებით ცენტრალურს ევროპაში პერმანენტული ხასიათი მიიღო. ამ რევოლიუციონურ მოძრაობას ტონსა და შინაარს აძლევდა რუსეთის დიდი რევოლიუცია. არავის ისე ნათლად და მკაფიოდ არ უგრძვნია ევროპის ეს რევოლიუციონური აგონია, როგორც ეს იგრძნო ლოიდ ჯორჯმა, რომელსაც ბედმა არგუნა ინგლისის პოლიტიკის მეთაურობა ამ მძიმე პერიოდში.

1919 წ. გაზაფხულზე ვერსალის საზავო კონფერენციისადმი წარდგენილ თავის მემორანდუმში ლოიდ ჯორჯი სწერდა: „რევოლიუცია თავის დასაწყისში იმყოფება. რუსეთში გამეფებულია გაუსწორებელი ტერორი. **მთელი ევროპა გავსებულია რევოლიუციონური სულით. არსებობს არა მარტო უკმაყოფილება, არამედ აღშფოთება და რისხვა მუშათა კლასისა, რომელიც მიმართულია არსებობის პირობების წინააღმდეგ. მთელი ევროპის მცხოვრებნი დაეჭვიანებულნი არიან თანამედროვე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური წესწყობილების კანონიერებაში.** ზოგიერთ ქვეყნებში, როგორც გერმანია და რუსეთია, ამ უკმაყოფილებამ გადმოხეთქა აშკარა აჯანყების ფორმაში; სხვა ქვეყნებში, როგორც საფრანგეთი, ინგლისი და იტალიაა, უკმაყოფილება მჟღავნდება გაფიცვებში, რაც მოწმობს სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმებისადმი და აგრეთვე შრომის პირობების გაუმჯობესებისადმი მისწრაფებას“. რუსეთის შესახებ ლოიდ ჯორჯი აღნიშნავს ეკონომიურ რღვევა-განადგურებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა იქ და დაასკვნის: „**მაგრამ როგორაც ბოლშევიკებმა მოახერხეს შეენარჩუნებინათ თავიანთი გავლენა რუსეთის ხალხურ მასაზე და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათ შესძლეს შეექმნათ დიდი, როგორც სჩანს მშვენიერი დისციპლინით მოხილი არმია, რომელიც თავის უმეტეს წილში მზად არის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი თავისი იდეალებისათვის.** ერთი-ორი წლის შემდეგ ენთუზიაზმით გამსჭვალულ რუსეთს, რომელსაც ეყოლება ერთად-ერთი ჯარი მთელს მსოფლიოში, მებრძოლი თავისი იდეალებისათვის, რომელიც მას სწამს, შეუძლია დაიწყოს ახალი ომი.. ბოლშევიკური იმპერიალიზმი ემუქრება არა მარტო იმ ქვეყნებს, რომელნიც რუსეთის მოსაზღვრეთ იმყოფებიან, არამედ ემუქრება აგრეთვე მთელს აზიას, და ამერიკაც არ იმყოფება მისგან ისე შორს, როგორც საფრანგეთი“. (იხ. ფრ. ნიტტი: „Европа без мира“ გვ. 82—90).

ლოიდ ჯორჯი ნათელი ფერადებით ხედავდა რღვევის პერიოდში მყოფ ევროპის მდგომარეობას და არავის ასეთი სისწორით არ გადმოუცია რევოლიუციონური მოძრაობის პერსპექტივები, როგორც ეს შესძლო მან, მაგრამ არავინ ისეთ მკაცრი და გაბედული პოლიტიკით არ გამოსულა რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, როგორათაც გამოვიდა პირველ პერიოდში ლოიდ-ჯორჯი.

მის მთავარ და ძირითად დებულებას წარმოადგენდა ბრძოლა რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე. „უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ჩაუგდოთ ევროპის მასები ექსტრემისტებს ხელში, რომელიც კაცობრიობის აღდგენის გეგმებს აღდგენენ თანამედროვე სოციალური წესწყობილების სრულს დარღვევის ნიადაგზე“,—სწერდა იგი თავის მემორანდუმში.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ლოიდ ჯორჯმა მოხდენილი გეგმები გამოიმუშავა ანტანტის სხვა მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად. ამ გეგმებს საფუძვლად ედვა კაპიტალისტური წყობილების აღდგენა რუსეთში შეიარაღებული ინტერვენციის საშუალებით.

ინგლისი, რომლის კოლონიალურ ბატონობას და აზიის სამფლობელოებს დიდ საფრთხეს უმზადებდა კომუნისტური მოძრაობა, მხურვალე დამცველი აღმოჩნდა შეიარაღებული თავდასხმისა საბჭოთა რუსეთზე და ამისათვის მან დიდძალი თანხა და ენერგია დახარჯა.

ანტანტამ ერთის მხრით თავისი მიზნებისათვის გამოიყენა რუსეთის კონტრ რევოლიუციონური მოძრაობა, შეაიარაღა ისინი და ამ სახით დაუპირისპირა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. კოლჩაკ-დენიკინის არმიის დახმარებით—ინგლისმა მოინდომა გარდუვალი ზღუდე აღემართა აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ-სამხრეთის მიმართულებით თავის აზიის სამფლობელოებსა და ბოლშევიკურ მოძრაობას შორის. ამით ინგლისი ცდილობდა ინდოეთი გადაერჩინა რევოლიუციონურ აჯანყებისაგან.

მეორეს მხრით, დასავლეთის მიმართულებით ანტანტამ ე. წ. პატარა სახელმწიფოთა „სანიტარული კარდონი“ შემოარტყა პროლეტარულ მოძრაობას. ფინეთიდან და ბალტიკის სანაპიროებიდან დაწყებული შავი ზღვისა და ადრიატიკის სანაპიროებამდე აღმოცენებულ წვრილ სახელმწიფოთა დახმარებით ანტანტა ცდილობდა ერთგვარი მაგარი ძალა ჰყოლოდა „კულტურულ“ ევროპასა და „ვანდალურ“ რუსეთს შორის. ამ საერთო გეგმაში ამიერ-კავკასიის სახელმწიფონიც თავიანთ შესაფერისს როლს თამაშობდენ ინგლისის კარნახითა და მისი ხელმძღვანელობით.

თავის მხრით ანტანტის მოკავშირეებმა „გავლენის ზონებად“ გაიყვეს მთელი რუსეთის ტერიტორია და გადაასხეს დამხმარე შეიარაღებული ძალა. ინგლისის ოფიციალური ცნობით, მხოლოდ ბრიტანეთს დაეხარჯა საზღვაო და ხმელეთის ოპერაციების წარმოებაზე 56 მილიონი გირვანქა სტერლინგი. აქედან დაახლოვებით 31 მილიონამდე დახარჯული იყო ბრიტანეთის ჯარზე და 25 მილიონამდე რუსეთის კონტრრევოლიუციონურ არმიაზე. გარდა ამისა ინგლისის მთავრობამ დახარჯა დენიკინ-კოლჩაკისა და სხვათა სურსათ-სანოვაგეთა და საქონლით მომარაგებისათვის 51.590 ათასი გირვანქა სტერლინგი. ამრიგად 1918 წ. ნოემბრის დამლევიდან 1920 წლის აპრილამდე მხოლოდ ინგლისმა დახარჯა კონტრრევოლიუციის დასახმარებლად და თავისი გეგმების განსახორციელებლად 107 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ან 2 ნახ. მილიარდზე მეტი ოქროს ფრანკით.

ინგლისის იმპერიალიზმის მთავარ მიზანს ამ ბრძოლის დროს შეადგენდა რევოლიუციონური მოძრაობის სისხლის მორევში ჩაღრჩობა და რესტავრაცია ბურჟუაზიული წყობილებისა რუსეთში. ამ გზით რუსეთი თავისი მდიდარი სამეურნეო რაიონებით გადაიქცეოდა ინგლისის კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტად და ფაქტიურად რუსეთის ხალხი დაყვანილი იქნებოდა კოლონიალურ მდგომარეობამდე. აღდგენა დიდი განუყრელი რუსეთისა არ შეადგენდა ინგლისის მთავრობის მიზანს: მისი მთავარი მიზანი რუსეთის კოლონიად გადაქცევა და ეკონომიური დაპყრობა იყო

მაგრამ ანტანტის მოძალადეებს კოზირი ხაცარში ჩაუვარდათ: რუსეთის პროლეტარიატის ძლიერმა ნებისყოფამ და სახელოვან წითელი არმიის ენერგიულმა ბრძოლამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა რევოლიუციის უდიდესი სარდალი ვ. ლენინის რკინის ხელები და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, გაანადგურა რუსეთის კონტრ-რევოლიუციის ბანდები და უდიდესი გამარჯვება მოიპოვა სამოქალაქო ბრძოლის ფრონტზე.

ინგლისის ინტერვენციის უკანასკნელი ცდა გამოიხატა პოლონეთის შემოტევაში 1920 წ., რომლითაც ის ცდილობდა გადაერჩინა ვრანგელის ნაწილები საბოლოო განადგურებისაგან და თავ განეგრძო სამოქალაქო ომი რუსეთში. ეს ცდაც უშედეგოდ დარჩა.

პოლონეთთან ხელშეკრულების დადებისა და ვრანგელის უკანასკნელი ნაწილების განადგურების შემდეგ ინგლისის პოლიტიკაში დაიწყო მერყეობა. ლოიდ-ჯორჯი აშკარად დარწმუნდა, რომ ის შეიარაღებული თავდასხმით ვერ დასცემდა საბჭოთა რუსეთს, რომ ბრძოლის ქარცეცხლში გამოწრთობილი რუსეთის მუშები და გლეხები მზად იყვნენ ყოველგვარი მსხვერპლის გაღებაზე თავიანთი იდეალების განხორციელებისათვის, რომ ინტერვენციის გზით რუსეთის მდიდარი სამეურნეო რაიონები ვერ გადაიქცეოდა მათი კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტად. რუსეთის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა სამეურნეო ცხოვრების გამოსწორება მთელ მსოფლიოში, რომელიც ასე შეარყია ომმა და რევოლიუციურმა მოძრაობამ. ამ გარემოებამ გამოიწვია ინგლისის პოლიტიკის ცვლილება რუსეთის მიმართ.

ჯერ კიდევ 1920 წლის ივნისში ლოიდ ჯორჯი ამბობდა თემთა პალატაში: „საშინელებაა იმაზე ფიქრი, რა მოხდება, თუ მშვიდობიანობა რუსეთთან არ იქნება აღდგენილი. **რუ[illegible] აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მთელი მსოფლიოსათვის. ჩვენ ვგრძნობთ შიმშილის საშიშროებას რომელიც გვემუქრება ომის გავლენით. ვიცით, რომ აუცილებელია ურთიერთობის აღდგენა იმ ქვეყანასთან, რომელიც ომამდე აწოდებდა მთელი სურსათ-სანოვაგის ერთ მეოთხედს, რომელიც ჰქონდათ ევროპის სახელმწიფოებს.**

ლორდ სესილი იმავე წელში ამბობდა: „არასოდეს ევროპაში მდგომარეობა ყოფილა ამაზე უფრო საფრთხე მცხოვრებთა მილიონები სიმშილისა ავადმყოფობის ანაბარად არ დატოვებულნი. მთელი ეკონომიური ცხოვრება დაშლილია, ფულის სისტემა წარმოადგენს ახლა წინდა ფ. მრეწველობა შეფერხებულია. [illegible] რუსეთთან, როგორადაც უნდა ჯდეს“.

ლოიდ ჯორჯმა უკვე 1920 წელში მოხაზა ესი ახალი პოლიტიკის კონტურები: ზავის აღდგენა რუსეთთან, რომლისოდაც შეუძლებელი შეიქნა საზოგადოთ ევროპისა და კერძოთ ინგლისის ეკონომიური დაწინაურება. ეს პოლიტიკა უფრო განამტკიცა და აუცილებელი გახადა იმ დიდმა გარემოებამ, რომელიც ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში გამოიხატა. ამ აქტით საბჭოთა ჯარები მჭიდროდ შემოერტყენ გარს ინგლისის ყველაზე უფრო მგრძნობიერს რაიონს—აზიის სამფლობელოებს, სადაც ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობა ზოგან ძლიერად ფეთქდა, ზოგან კი ჩანასახის პერიოდში იმყოფებოდა. როგორც თურქესტანის გზით, ისე ახლო აღმოსავლეთის შესასვლელ კარებით—ამიერ-კავკასიაში განმტკიცებით.—საბჭოთა ხელისუფლებამ კავშირი გააბა უშუალოდ აღმოსავლეთის ხალხებთან. ინგლისის პოლიტიკა ქუჩაბანდში მოემწყვდა: შეიარაღებული ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ ნიშნავდა მათს მუქარას აღმოსავლეთში და ფართო ოპერაციების დაწყებას იმ ქვეყნებში, სადაც ინგლისს ყველაზე უფრო ჰქონდა აწეწილი საქმე. მეორეს მხრით, რუსეთის ცნობასა და დაუყოვნებლივ ზავის აღდგენას არ ეთანხმებოდა ანტანტის სხვა მოკავშირე სახელმწიფოები. დამოუკიდებელი გზით სიარული ამ შემთხვევაში ინგლისისათვის საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან ანტანტის კავშირის დაშლა მიუღებელი შეიქნა მისი ინტერესებისათვის. ამ გარემოებამ გამოიწვია 1921 წ. მარტის სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან, რომლის მთავარი მიზანი იყო არა ვაჭრობის აღდგენა, არამედ ინდოეთის და საერთოდ აღმოსავლეთის გადარჩენა—რევოლიუციონური საფრთხისაგან.

1921 წლიდან იწყება ინგლისის მერყეობა რუსეთის საკითხში და მისი ცდები ანტანტის სახელმწიფოთა შეერთებული ძალით გამოსვლის შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ ლოიდ-ჯორჯი დარწმუნდა ევროპის ეკონომიურ კრიზისში, მისთვის მაინც შეუძლებელი შეიქმნა დამოუკიდებელი რადიკალური ნაბიჯის გადადგმა და კიდევ ფიქრობდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკა დასუსტდებოდა ეკონომიური ბლოკადით, გამწვავდებოდა იქ სამეურნეო კრიზისი ან ანარქია, და ამით შესაძლებელი გახდებოდა ძალაუფლების გადასვლა ზომიერ ელემენტების ხელში, ან თვით ბოლშევიკების გაზომიერება, კაპიტალისტურ ნიადაგზე დადგომა.

ლენინის გარდაცვალების გამო

21 იანვარს მწუხარე მეხივით გვემცნო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის და მასწავლებლის, სწორი გზის მაჩვენებლის, ლენინის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი.

არ მოიპოვება მთელ მსოფლიოში ისეთი მუშა და გლეხი, თუნდაც მივარდნილ კუთხეშიც, რომ არ გაეგოს ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი ლენინის სახელი. მეტად მძიმე და დიდი დანაკლისია მუშებისა და გლეხებისათვის ლენინის სიკვდილი. ლენინის დაკარგვის სიმწვავე ჩვენ მუშებისა და გლეხების გულში უფრო ღრმათ და მწარედ ჩაიჭრა და ბელადის სიკვდილმა თავზარი დაგვცა, მაგრამ წამსვე გაგვახსენდა ლენინის საქმე და გაგვამხნევა— ისევ მან, მისმა გენიალურ მუშაობამ, ინერგიულ შეუპოვარმა ბრძოლამ— მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ლენინმა შექმნა კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის ხელმძღვანელი. ლენინმა შექმნა კომინტერნი. მისი მეოხებით შეკავშირდა მსოფლიო მუშათა კლასი.

ლენინის ენერგიულმა და დაუღალავმა მუშაობამ მშრომელთ მოაპოვებია მათი ძალაუფლება მთელი ქვეყნიერების მეექვსედ ნაწილზე.

ლენინი არ მომკვდარა, ის ისევ ჩვენთან არის თავისი საქმიანობით. მისი ანდერძი წინ გვიძღვის, მან გვასწავლა რევოლიუციონური ბრძოლა ბურჟუა კაპიტალისტების წინააღმდეგ. ჩვენ ეს ბრძოლა უნდა განვაგრძოთ და ბოლომდის მივიყვანოთ.

სიცოცხლის დროს მას არ შემოუვლია მთელი დედამიწა, მაგრამ მისი სული, გული, მისი საქმე ყველგან ყოფილა, იქნება და დარჩება კიდეც.

ლენინის საქმიანობა, მისი ანდერძი მუდამ ჩვენთან არის და იქნება, მისი სახელი და ღრმა სიყვარულის გრძნობა მსოფლიო მუშათა და გლეხთა გულის სიღრმეში სამარადისოთ და საუკუნოდ შთაბეჭდილი დარჩება.

პროლეტარი ლენინის ნაანდერძევს არ დაივიწყებს და არ გაუშვებს ხელიდან კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულ, მუშების სისხლით შეღებილ ბრძოლის წითელ წმინდა დროშას, სანამ არ აღგვის დედამიწის ზურგიდან, კაპიტალისტურ ჩაგვრა-მონობას.

გაუმარჯოს ლენინიზმს! გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას! გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას!

ძველი მუშა მ. ჩ

პარტიული ცხოვრება

მიღების პირობები

წითელი პროფესურის ინსტიტუტში 1924—1925 სამოსწავლო წლისათვის

1) ინსტიტუტში მიიღებიან რუსეთის კომპარტიის წევრები, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ 5 წლის პარტიული სტაჟი და წარმოადგენენ რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის, ეროვნულ რესპუბლიკების ცეკას, რუსეთის კომპარტიის საოლქო და საგუბერნიო კომიტეტების რეკომენდაციებს, ამასთანავე მუშები მიიღებიან სტაჟის მიუხედავათ.

2) ამხანაგები, რომელთაც სურთ ინსტიტუტში შესვლა ადგენენ განცხადებას არა უგვიანეს 1924 წ. 1 მარტისა ინსტიტუტის გამგეობაში (მოსკოვი, ოსტოჟენკა, 53) მისამართის აღნიშვნით, მოკლე ავტობიოგრაფიას, შემოწმებულ პარტიულ სტაჟს, დაბეჭდილ შრომებს (თუ ასეთები აქვთ) და 1 მუხლში აღნიშნულ რეკომენდაციებს. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იყოს ამა თუ იმ ამხანაგებისათვის სასურველი მისაღებ სანიმუშო სამუშაოს თემა და განყოფილება, რომელზედაც ამხანაგს სურს შესვლა.

3) განცხადება განხილული იქნება სამანდატო კომისიის მიერ რუსეთის კომპარტიის ცეკას წარმომადგენლების მონაწილეობით და შემდეგ გადაეცემა ინსტიტუტის გამგეობას. საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრის შემდეგ გამგეობა დაუშვებს მსურველს წერილობითი სამუშაოს წარსადგენად. სამუშაოს თემა დასახელებული იქნება ინსტიტუტის მიღებ კომისიასთან შეთანხმებით, რომელიც ახდენს ზეპირ კოლოქვიუმს.

წერითი სამუშაოს წარდგენის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1924 წ. 1 მაისი.

4) ყველა მსურველები, რომელთა წერილობითი სამუშაოთ ცნობილ იქნება დამაკმაყოფილებლად დაშვებული იქნებიან ზეპირ კოლოქვიუმზე 1—15 სექტემბრამდე, რის შემდეგ გამგეობა საბოლოო მსჯელობას იქონიებს კანდიდატის შესახებ.

5) კოლოქვიუმის ჩაბარება მოხდება კომისიაში თეორეტიულ ეკონომიაში, ფილოსოფიაში და რუსეთის და საზოგადო ისტორიაში.

მისაღებ ამხანაგებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი მომზადება:

თეორეტიულ ეკონომიაში: ა) კ. მარქსის ეკონომიურ მოძღვრების საფუძვლიანი ცოდნა უკანასკნელის უმთავრეს ნაწარმოებების მიხედვით: 1) „ფილოსოფიის სიღატაკე“, 2) „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკისათვის“ (ფილოსოფიურისა ისტორიულ დარგზე შემავალთათვის საჭიროა მხოლოდ წინასიტყვაობა და შესავალი), 3) „კაპიტალი 1, 2 და მე-3 ტომები. (ფილოსოფიურსა და ისტორიულ დარგზე შემავალთათვის მე-2 ტომი არ არის სავალდებულო).

ბ) იმ მარქსისტულ ლიტერატურის ცოდნა, რომელიც ეხება კაპიტალიზმის უახლოეს განვითარებას: 1) გილფერდინგი „ფინანსიური კაპიტალი“, 2) ლენინი „იმპერიალიზმი“. 3) ბუხარინი—„იმპერიალიზმი და მსოფლიო მეურნეობა“ ა) ბუხარინი— პოლიტიკური ეკონომია, ბ) რომელიმე ბურჟუაზიულ ეკონომისტის (ტუგან-ბარანოვსკის, ჟელეზნოვის ან სხვ.) კურსის ცოდნა, და აგრეთვე საფუძვლიანი ცოდნა ეკონომიურ გეოგრაფიისა.

ფილოსოფიაში: მარქსიზმის ფილოსოფიის ლიტერატურის და ისტორიულ მატერიალიზმის თეორიის ცოდნა შემდეგი შრომების მიხედვით: ენგელსი: 1) „ლ ფეიერბახი“, „ანტი—დიურინგი“, პლეხანოვი: 3) „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“, 4) „ისტორიაზე მონისტიური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“, 5) „ისტორიულ მატერიალიზმის მიმოხილვა“, 6) აქსელროდი: „ფილოსოფიური მიმოხილვა“, 7) დებორინი: „დიალექტიური მატერიალიზმის ფილოსოფიის შესავალი“. უნდა დაემატოს წერილები ვ. ფეიერბახის ფილოსოფიურ შეხედულებათა შესახებ, „მარქსიზმის დროშის ქვეშ“ №№ 7, 8, 9—10, 11, 12; 8) ლანგე: „მატერიალიზმის ისტორია (ტ. 1), 9) გეფდინგი: „უახლოესი ფილოსოფიის ისტორია (კანტიდან), 10) გომპერც „საბერძნეთის მოაზროვნეები“, 11) ვუნდტი: „ფილოსოფიის შესავალი“, 12) ბუხარინი: „ისტორიული მატერიალიზმის თეორია“.

ეკონომიურ და ისტორიულ განყოფილებაზე შემავალთათვის საჭიროა იგივე, გარდა გომპერცის და გეფდინგისა.

საზოგადო ისტორიაში: ცოდნა იმ შრომებისა, რომლებიც ეხებიან სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებს: 1) „უახლოეს სოციალიზმის წინამორბედნი“ კაუცკის რედაქტორობით, 2) ოლარი (მოკლე გამოცემა) „საფრანგეთის დიდი რევოლიუცია“, 3) კუნოვი: „კლასთა ბრძოლა საფრანგეთის რევოლიუციაში, 4) მარქსის და ენგელსის ისტორიულ შრომები: „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“, „18 ბრიუმერი“, „რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია გერმანიაში,“ „სამოქალაქო ომი საფრანგეთში,“ 5) გორევი: „სოციალიზმის ისტორია“ 6) ლუკინი „დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორია, 7) მისივე: „პარიზის კომუნა“, 8) ტუგან-ბარანოვსკის წიგნის ისტორიული ნაწილი: „სამრეწველო კრიზისები“ უკანასკნელი გამოცემა განყ. 1 და 3-ე, 9) გარდა ამისა საერთო ცოდნა ეკონომიური განვითარების ისტორიისა (კულიშერის წიგნით: „ლექციები დასავლეთ ევროპის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების ისტორიის შესახებ“) და ფაქტიური ისტორიის ცოდნა ვიპპერის შრომების მიხედვით: 10) საბერძნეთის („საბერძნეთის ისტორია კლასიკურ ხანაში“), 11) რომის (წერილები რომის იმპერიის ისტორიაზე) და ახალი დროის ისტორიის („ახალი დროის ისტორია“).

რუსეთის ისტორიაში: ცოდნა ისტორიულ პროცესების საერთო მიმდინარეობისა შემდეგი შრომების მიხედვით: 1) პოკროვსკი: „რუსეთის ისტორია მოკლე მიმოხილვაში“, 2) მისივე „კულტურის ისტორიის მიმოხილვა“, 3) მისივე „რუსეთის ისტორია“ (ტ. 3 და 4), 4) ვ. ილინი (ლენინი: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“), 5) ტუგან—ბარანოვსკი—„რუსეთის ფაბრიკა“, 6) ლენინი „აგრარული პროგრამები“, 7) მისივე—„მუშათა მოძრაობა 1905 წ.“ 8) ტროცკი: „1905 წელი“, 9) ლენინი: „თხზულებათა კრებული“ 14 და 15 ტომები, 10) ტროცკი: „ოქტომბრის რევოლიუცია“, 11) ბუხარინი: „კლასთა ბრძოლა და რევოლიუცია რუსეთში“.

სპეციალისტებისათვის. ისტორიაში, გარდა ამისა, საჭიროა: 1) პეტრუშევსკი: „საშუალო საუკუნის საზოგადოების და სახელმწიფოს ისტორიის მიმოხილვა“, 2) კრაპოტკინი—„საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორია“ (ან ოლარი; „საფრანგეთის დიდი რევოლიუცია“), 3) სენიობოს—„დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ისტორია“, ან კარეევის—„დასავლეთ ევროპის ისტორია მეოცე საუკ.“ ტ. მე-7.

6) ინსტიტუტში მიღებული ყველა ამხანაგები, შრომის და თავდაცვის საბჭოს 1921 წ. 30 მარტის დადგენილების თანახმად, მოიხსნებიან თავიანთ ძველ სამუშაოდან და გადაყვანილი იქნებიან ინსტიტუტში.

7) ინსტიტუტის მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან ფულით და შეძლებისდაგვარად, საერთო საცხოვრებელით.

წითელი პროფესურის ინსტიტუტის გამგეობა.

მეორეს მხრით თვით ანტანტის მოკავშირეთა შორის იჩინა თავი რადიკალურმა წინააღმდეგობამ; საერთოდ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში დღეს ორი მიმდინარეობა იბრძვის: ერთი არის მსხვილი მრეწველები და ლიბერალურად მოაზროვნე ელემენტები, რომელთაც ნათლად აქვთ წარმოდგენილი, რომ რუსეთოდ შეუძლებელი არის ეკონომიურ ცხოვრების აღდგენა და რომელთაც უშუალოდ აინტერესებთ რუსეთი როგორც ნედლი მასალისა და სურსათ სანოვაგის მიმწოდებელი ბაზარი და როგორც მათი საქონლის მყიდველი, გამსაღებელი; მეორე პოლიუსზე სდგანან უმთავრესად მილიტარისტულად განწყობილი რეაქციონური ბურჟუაზია, პუანკარესი და კერზონის მეთაურობით, და მოვაზე ფინანსიური არისტოკრატია, რომელთა უმთავრეს მოვალეს წარმოადგენდა წარსულში რუსეთი. ინგლისი ლოიდ ჯორჯის სახით გამომსახველი იყო პირველი მიმდინარეობის, ხოლო საფრანგეთი წარმოადგენდა მეორე კონცეპციას პუანკარეს პოლიტიკის წყალობით. ამ მიმდინარეობათა შესახებ იტალიის ყოფილი პრემიერი ფრანჩესკო ნიტტი ჯერ კიდევ 1922 წელს სწერდა:

„ანტანტის ქვეყნებს შორის დიდი ხნიდან დამყარდა ძირითადი სხვადასხვაობა რუსეთის საკითხის შესახებ. ინგლისმა უმალვე შეიგნო, რომ თუ შეუძლებელი არის საბჭოთა მთავრობის ცნობა, მაინც შემცდარია მხარის დაჭერა რესტავრაციონულ ცნებისათვის. რამოდენიმე რყევის შემდეგ ის (ინგლისი) გადაჭრით გადავიდა ზომიერ პოლიტიკაზე და, თუმცა მან ომის დროს ყველაზე დიდი სესხი მიაწოდა რუსეთის მთავრობას (14 მილიარდ ფრანკზე მეტი მაშინ, როდესაც საფრანგეთმა მხოლოდ 4 მილიარდი), მაინც ის არც ერთხელ არ იცავდა იმ გეგმას, რომ ახალი მთავრობის ცნობის საკითხი დაეკავშირებინა სახელმწიფო ვალების გადახდის გარანტიებთან. ეს არა სწორი იდეა ჰქონდა მხოლოდ საფრანგეთის მთავრობას“.. (ნიტტი—220).

ლოიდ ჯორჯის მთელი პოლიტიკა კანნას, გენუა-ჰააგას კონფერენციებზე მიმართული იყო უმთავრესად საფრანგეთთან შეთანხმებისაკენ რუსეთის საკითხში; რადგან მან ვერ გაბედა სეპარატიულად ნაბიჯის გადადგმა რუსეთის ცნობისაკენ, ამიტომ ის ცდილობდა გამოენახა შეთანხმებული ხაზი, პლატფორმა ანტანტის მოკავშირეთათვის. ლოიდ ჯორჯის ეს პოლიტიკა მარცხით დამთავრდა; მისი გეგმები არ მოიწონეს ინგლისის რეაქციონურმა წრეებმა და მილიტარიზმის იდეოლოგებმა, გატყდა კავშირი კონსერვატულ და ლიბერალურ პარტიათა შორის და ძალაუფლება ხელში აიღო კონსერვატიულმა პარტიამ. საფრანგეთმა ლოიდ ჯორჯს მეტად საგრძნობი დამარცხება აგრძნობინა როგორც გენუა-ჰააგას კონფერენციაზე, ისე ახლო აღმოსავლეთის საკითხში, რასაც შედეგად მოყვა ლოიდ ჯორჯის გადადგომა.

ბონარ ლოუსა, და ბალდვინ-კერზონის ბატონობა ინგლისში ამ 1 ნახ წლის განმავლობაში გამოხატავდა იმ რეაქციონურ-მილიტარისტულ წრის პოლიტიკას, რომელიც ცდილობდა საფრანგეთთან ძველი კავშირის გაგრძელებით და საბჭოთა რუსეთის დაშინებით თავისი ძველი ბატონობის შენარჩუნებას მსოფლიო მასშტაბით. ამ პოლიტიკის შედეგი იყო კერზონის მუქარის ნოტები საბჭოთა კავშირისადმი. მაგრამ პუანკარემ ამ პირობებშიაც თავისა გაიტანა და ცენტრალურ ევროპაში რურის დაპყრობითა და მცირე ანტანტასთან მჭიდრო კავშირის გაბმით კვლავ ჩიხში მოამწყვდია ინგლისის პოლიტიკა. ინგლისის საზოგადოებრივ წრეებში ნათლად მომწიფდა ის საფრთხე, რომელსაც უმზადებს ინგლისს თავისი პოლიტიკით იმპერიალისტური საფრანგეთი ერთის მხრით და საბჭოთა კავშირთან მტრული ურთიერთობის დამყარება, მეორეს მხრით.

ამბობენ, კონსერვატიული პარტიის დამარცხება გამოიწვია პროტექციონიზმისა და საბჭოთა კავშირის საკითხმა. ეს მართალია. მაგრამ ამ დამარცხებაში აუცილებლად საპატიო ადგილი უჭირავს საფრანგეთის პოლიტიკისადმი მტრულს დამოკიდებულებას, რომელიც უფრო გამწვავდა და გაღრმავდა რურის დაპყრობის შემდგომ.

სიმონ ხუნდაძე.

(დასასრული იქნება).

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის ბირჟა ტფილისში

(5 თებერვალი)

ჩერვონცები	1.625,000 ათ.
ფუნტ სტერლინგ. ეფექტ.	1 510,000
ჩეკები	1.466,000
დოლარი ეფექ.	359 —
ჩეკები	337 —
ოსმალ. ქაღ. ლირა	225 000
იტალიური ლირა	15000
ფრანგული ფრანკი	16000
საბჭ. ფულის ნიშნები	16 ნახ.

მუშკოოპის ფასები.

(4 თებერვალი)

პური 1 ხარ. 10,000, პური 2 ხ. 8000. ძროხის ხორცი—35000 ათ. ღორის ხორცი—32000 ათ. შაქარი რაფინადი —69 750 ათ. ფხვნილი შაქარი—45,000 ათასი, კარტოფილი—2500 ათ

ტფილისის ბაზრის ფასები.

(4 თებერვალი)

პური 1 ხ. —15000 ათ., პური 2 ხარ. —12000, ძროხის ხორცი 45000 ათ. ღორის ხორცი 40000 ათ., შაქარი რაფინ. 72000 ათ., შაქარი ფხვნილი 46,000 ათ, ბრინჯი ალდ.—16000 ათ., კარტოფილი 4000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ბამბის თესლი, „ცენტროსოიუზ“-ის ჩაი და ცეილონის, ფრიზონი, ქინაქინა, ჰიგროსკოპიული ბამბა, შპრიცები, პლატინის ნემსები, ფანქრები (ქიმიური, შავი და ფერადი), ინგლისის რკინა (სახურავი), ი ხილი, „ურალმეტ“-ის პროდუქცია, (სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ნაჯახი, ბარები, რელსები, მილები და სხვ. რკინეულობა). ცინკის უმარილი, სპილენძი ფურცლოვანი, საშენებელი ლურსმნები, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, კვებრახის ექსტრაქტი, ცინკი, ჰურჭელი, შვეიცარული ყველი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს. სახ მეურნ. უმაღ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია, (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.) მზესუმზირას ზეთი, მატყლი ირევნის (გარეცხილი), სადურგლო წებო, ქვა-მარილი ნახიჩ., ცემენტი და ეტერნიტი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი, რუს. მანუფაქტურა, ნუში, ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, ტეხნიკური ცხიმი, ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდიის ცემენტი, ყუბანის საკონდიტრო ფქვილი საშენებელი ლურსმნები, ჩაი, ასანთი, რუს., პემზა, ქვა-მარილი ნახიჩ.

ოფიციალური ტარიფები.

შაქარი რაფინადი რუს.—14 მ. 60 კ., ფხვნილი რუს.—10 მ. 65 კ ფუთი, ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

რუს. მანუფაქტურა „გლავხლოპკომ“-ის პრეისკურანტის ფასებში.

პაპიროსი რუს—პრეისკურანტის ფასებში—დაკლებით 20 პროც. და 5 პროც.

ფქვილი სტავროპოლის—1 მ. 85 კაპ. ფუთი და „წითელი“—2 მ. 50 კ. ფუთში, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება გაცხოველებულია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი ზევით იწევს.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება

(5 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	1.625 000,	60 კ.	97 500 000
2 „	3 250.000,	70 „	113 750 000
3 „	4 875 000,	80 „	130.000.000
4 „	6 500.000,	90 „	146 250.000
5 „	8 125 000,	1 მ.	162 500 000
6 „	9 750.000,	2 „	325 000.000
7 „	11 375 000,	3 „	487 500.000
8 „	13,000 000,	4 „	650 000.000
9 „	14 625 000,	5 „	812 500.000
10 „	16 250.000,	6 „	975 000.000
20 „	32 500.000,	7 „	1137 500.000
30 „	48 750.000,	8 „	1 300 000.000
40 „	65 000.000,	9 „	1,462 500.000
50 „	81 250.000,	1 ჩერ.	1,625.000.000

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავაჭრო მოქმედება.

საწყობებში.

დეკემბრის თვის განმავლობაში სავაჭრო სამმართველოს საწყობში შემოსულია საქონელი სულ 24 630 მანეთის. მიღებულ საქონელში უმრავლესობას შეადგენს სამრეწველო ნედლეული (42,5 პროც.), შემდეგ ფეხსაცმელების მასალა (27,8 პროც.) და ქიმიური ნაწარმოები (22,7 პროც). იმავე თვეში საწყობებიდ ნ გაშვებულია საქონელი სულ 73 652 მან. ამ საქონელში პირველი ადგილი უჭირავს ტყავეულობას (27,4 პროც.), მეორე მანუფაქტურას (17,3 პროც), ქიმიურ ნაწარმოებს (უმთავრესად საპონს—14,3 პროც) და რკინეულობას (13,2 პროც) და სხვ. აღნიშნული საქონელი გამოშვებულია როგორც ს. მ. უ. ს. მაღაზიებისთვის, ისე ს. მ უ. ს. ტრესტების, პროვინციალურ აღმასკომებისა და კერძო პირებისთვის.

საერთოდ, წინა თვესთან შედარებით, დეკემბერში შემოსული საქონლის რაოდენობა აღემატება, ხოლო გაშვებული—უდრის ნოემბრის რაოდენობას.

მაღაზიები.

სავაჭრო მმართველობის განკარგულებაში იმყოფება 7 მაღაზია. დეკემბრის განმავლობაში ყველა მაღაზიებში შემოსულია საქონელი—115 857 მანეთის. იმავე დროს გაიყიდა საქონელი—133,077 მანეთის, აქედან ნაღდზე 107 521 მან,, ნისიათ —25 410 მან. და საკომისიოდ—145 მან.

საწყობის და მაღაზიების გარეშე ოპერაციები.

სავაჭრო სამმართველო აწარმოებდა ოპერაციებს აგრეთვე საწყობების და მაღაზიების გარეშე. დეკემბრის განმავლობაში შემოვიდა თამბაქოს ტრესტიდან—თამბაქო, ბაქოდან—სუროგატები, თხილი და სხვ, სულ 22 896 მანეთისა.

იმავე დროს გამოშვებულია ტრესტებისთვის, კოოპერატივებისთვის და სხვ—თამბაქო, საპონი და სხვა საქონელი, სულ 23.095 მანეთის.

გარდა ამისა, ყ ნულის ქარხანაში გამომუშავებულია ყინული 201 ფუთი.

სავაჭრო სამმართველოს ოპერაციების ბრუნვა დეკემბერში გამოიხატება შემდეგ ციფრებში: საწყობების—64,727 მ. 6. 70 კ., მაღაზიების —215.379 მ. 13 კ. სულ 280.106 მ. 73 კ.

საერთო ბრუნვა უდრის—326.260 მანეთს.

პროფკავშირებში

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კრება

2 თებერვალს განათლების მუშაკთა სახლში შესდგა ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კრება, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე სამხედრო და მუშათა კორესპონდენტები.

სხდომას ხსნის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის პასუხ. მდივანი ამხ. გიულუმიანი, რომელიც წინადადებას აძლევს კრებას ფეხზე ადგომით პატივსცეს ამხ. ლენინის ხსოვნას; ფეხზე ამდგარი კრება ისმენს ფოლხვერაშვილის ხოროსგან შესრულებულ სამგლოვიარო ჰიმნს.

ამხ ნ. კიკნაძე აკეთებს მოხსენებას მსოფლიო პროლეტარიატის გენიალურ ხელმძღვანელის ამხ. ლენინის შესახებ. ამხ. მომხსენებელი იწყებს იმ შთაბეჭდილებიდან, რომელიც უდიდესი ადამიანის გარდაცვალებამ, მოახდინა მთელს მსოფლიოში. მისი გარდაცვალებით გამოწვეულმა მწუხარებამ დაამტკიცა, რომ ამხ. ლენინმა ყველგან ისეთი სიყვარული და გავლენა მოიპოვა, რომ ამ მხრივ მას ვერ შეედრება ვერც ერთი მსოფლიო მოღვაწე ისტორიაში. ეს შედეგია მისი უდიდესი ნიჭის და ჩაგრული კაცობრიობისათვის თავდადებული მოღვაწეობის. შემდეგ ამხ. კიკნაძე გადადის ამხ. ლენინის დახასიათებაზე, ეხება მას, როგორც თეორეტიკოსს და უბადლო პრაქტიკულ მოღვაწეს. მომხსენებელს მოჰყავს ჩვენი დროის უკანასკნელი პერიოდი—იმპერიალისტური ომი, რომლის შესახებ ამხ ლენინის მიერ დასმულმა პროგნოზმა ცხადჰყო მისი გენიოსობა, როგორც უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის. ოქტომბრის რევოლიუცია, რომლის ინიციატორი და ერთი უდიდესი ხელმძღვანელთაგანი იყო ამხ. ლენინი, ყველასათვის —მტრისა და მოყვარისათვის სავსებით ააშკარავებს ამხ. ლენინის დიდს ტაქტიკურსა და პრაქტიკულ ნიჭს, რომლის წყალობით რუსეთის რევოლიუცია არა ერთხელ გადაურჩა დაღუპვას—განადგურებას.

შემდეგ ამხ. კიკნაძე ეხება ლენინს, როგორც ადამიანს, ამხანაგს, და მოჰყავს თავის პირადი მოგონება, როცა იგი პირველად შვეიცარიაში შეხვედრია ამ იშვიათს ადამიანს, რომელიც თავის უბრალოებით პირველ გაცნობისთანავე იპყრობდა მნახველის გრძნობას და გონებას. მას ჰქონდა საკვირველი უნარი ადამიანის გამოცნობის, ადვილად ხვდებოდა სხვის ნააზრევს და განცდილს და ამ თვისებათა მეოხებით ამხანაგებს უადვილდებოდათ მასთან საქმიანი ურთიერთობის გაჩაღება. ამხ. კიკნაძეს მოჰყავს ის მიწერმოწერა, რომელიც მას ჰქონია ამხ. ლენინთან იმპერიალისტური ომით გამოწვეულ საჭირბოროტო საკითხებზე აქ ამხ. ლენინი დგება ჩვენს წინაშე, როგორც ამხანაგი, რომელიც აძლევს თანამოაზრეებს რჩევა-დარიგებებს და ხელმძღვანელობს მათ პრაქტიკულ და თეორეტიულ მოქმედებას.

დასასრულ მომხსენებელი დაასკვნის, რომ ლენინის მიერ დაწყებული საქმე ისეთ მკვიდრსა და შეურყეველ საფუძვლებზე სდგას, რომ მისი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

მოხსენების დასასრულს ხორო მღერის ინტერნაციონალს.

შემდეგ კრება გადადის მორიგ საკითხების განხილვაზე.

დაგვიანების გამო სექციის ბიუროს მოქმედების შესახებ მოხსენება შემდეგისათვის გადაიდო.

ამხ. გიულუმიანის ინფორმაციულ ხასიათის მოხსენების შემდეგ, კრება ღებულობს შემდეგ დადგენილებას ახალ ტარიფების შესახებ: საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ყრილობაზე დელეგატებს ევალებათ შემდეგი პუნქტების გატარება:

1) საქონლის მანეთის დაცვა, რადგან იგი უფრო მეტად უზრუნველყოფს ხელფასის რეალურ მინიმუმს.

2) ერთის—რვისადმი (1:8) შეფარდების შემოღებას, თუ მინიმუმი—ხელფასი 10 საქონლის მანეთი იქნება; —თანახმად ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ც. ბ. მეორე პლენუმის დადგენილებისა.

3) რედაქციის და გამომცემლობის ყველა მუშაკთათვის დამუშავების ნორმის გამომუშავება.

4) არსებულ რეალური ხელფასის დაცვა და მისგან არავითარი გადახვევა.

ყრილობისთვის დელეგატების არჩევა.

კრება ერთხმად ირჩევს საქართ. ბეჭდვითი საქმის მუშაკთა მეორე ყრილობისათვის შემდეგ ამხანაგებს: შავერდოვას, ნ. კიკნაძეს, ავ. ნირს, გიულუმიანს, გინდინს, ონისიანს, აბასოვს, ბუაჩიძეს, ღარამჯანიანს, წულაძეს, კლინეევსკაიას, დიმანტს, ესაიანს სარ., ნ. კუზმინას, კასპაროვს, მარქარიანს, ორჯველიძეს, გურსკაიას, ჩეჩელაშვილს, გასპაროვს, სურხატიანს, მეოაბიშვილს, ალასოვს, პ. საყვარელიძეს, სიმონ ესიკინს, კუპრაშვილს, კალაძეს რეჯ., მანუკიანს, დივნოგორცევს, ელჩიბეკოვს, ხალატიანს და აბობაძეს. კანდიდატებად: ანდღულაძეს, თაბაგარს, ჯილავდარიშვილი მკრტჩიანს.

არჩევნების დასრულების შემდეგ ამხ. გიულუმიანი აღნიშნავს რა პროფკავშირის წევრთა შორის დისციპლინის შესუსტებას, მოითხოვს ზომების მიღებას უდისციპლინო ამხანაგთა წინააღმდეგ.

კრება ადგენს ერთი დღის ხელფასით დაჯარიმებას იმ ამხანაგების, რომელნიც კრებაზე არ გამოცხადდებიან.

კრება ღამის 10 საათზე იხურება.

ქრონიკა

— **გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კვირეულის ჩამტარებელ კომისიის ფულის ანგარიში.** შეგროვილ ფულის საერთო ჯამი:—6.1028 ჩერვონეცი. საორგანიზაციო ხარჯები—10 ჩერვონეცი. გაიგზავნა მოსკოვში რუსეთის კომპარტიის ცეკას სახელზე გერმანიაში გადასაგზავნად — 3 500 ჩერვონეცი. დარჩა 2.518 ჩერვ. გარდა ამისა დამატებით უნდა იქნას მიღებული ცეკავშირიდან—500 ჩერვ. ამგვარად კამპანიამ მოგვცა—6 528 ჩერვონეცი. **კომისიის თავმჯდომარე მ. ეხხენი.**

— **ლენინის ძეგლის ასაგებად.** ვლ. ი. ლენინის ძეგლის ასაგებად შესდგა კომისია: ამხ. ამხ მიხ. ცხაკაიას (თავმჯდ.) ლ. ლოლომბერიძის, მარ ორახელაშვილის, ლ. ქართველიშვილის, გ. ყურულაშვილის, ვ. სტურუას და ლ. სუხიშვილის შემადგენლობით.

— **„წითელი დროშის ორდენი“.** სრ. საქ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა „წითელი დროშის ორდენით“ დაჯილდოებულ პირთ საქართველოს გასაბჭოების დღის 25 თებერვალს დაურიგდეთ ორდენები.

— **გლეხთა სახლი.** გლეხთა სასახლის მომწყობ კომისიაში სრ. საქ ცენტრ. აღმასკომის წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. არ. კვირიკაძე

— **სამხედრო მაგიდები.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა მიიღო პროექტი დადგენილებისა რესპუბლიკის რაიონულ აღმასკომებთან და ქ. მილიციის რაიონებთან სამხედრო მაგიდების დაარსების შესახებ.

— **საქართველოს აღ. სასამართლოს წევრი.** აღმოსავლეთ საქართველოს წევრად დაინიშნა ამხ. ჩოჩიევი.

— **გადასახადიდან განთავისუფლება.** საქ. სახ. კომ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა/კ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე, რომ წითელ-ჯვარის საზოგადოების მიერ გაგზავნილ წერილები და კორესპონდენციები განთავისუფლებული იქნას ფ. ტელეგრაფის გადასახადისგან.

— **ტფ. ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი.** ტფ. ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის შენობის შესაკეთებლათ საქ სახ. კომისართა საბჭომ გადასდვა 29,976 მან. და 25 კაპ. ჩერვონცებით.

— **ჰაეროპლანების ფრენა.** 3 თებერვალს ა/კ. საავიაციო საზოგადოებამ ტფილისში მოაწყო ჰაეროპლანებით ფრენა გარეშე პირთათვის. ჰაეროპლანი აფრინდა 11-ჯერ და აიყვანა 44 მგზავრი.

— **ჰაეროპლანით ტფილისიდან—სოხუმში.** 3 თებერვალს, დილის 1 ს. ტფილისიდან სოხუმში მგზავრებით გადაფრინდა ა/კ. საავიაციო საზ. ჰაეროპლანი „ბოლშევიკი“. ჰაეროპლანი სოხუმში ჩავიდა დღის 3 საათ.

— **შრომის ბირჟა.** 2 თებერვალს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—63 უმუშ. ახლად ჩაეწერა 87 მოთხოვნილება იყო—49, სამუშაოზე გაიგზავნა—55.

— **ლტოლვილთა გადასახლება.** ალდაშის და ქურთისტანის მაზრების აღმასკომთა რწმუნებულების შუამდგომლობის თანახმად ლტოლვილთა სამშობლოში დასაბრუნებლათ, ა/კ. ცაკმა წინადადება მისცა ამ/კავკ. სახ კომ სართა საბჭოს გადასდოს 2000 მან. ჩერ. და 2500 ფუთი ხორბალი.

— **მაზრების ეკონომიური მდგომარეობის გამორკვევა.** საქ. სახ. კომ. საბჭომ საჭიროდ დაადგინა მოახდინოს მაზრების ეკონომიური, ფინანსიური და ადმინისტრატიული მდგომარეობის გამორკვევა და ამ მიზნით შეადგინოს განსაკუთრებული კომისია.

— **სახლის გადაცემა** სრ. საქართ. ცენტრაღმასკომმა შინ. საქ. სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად ბორჯომში მდებარე მიღლერისეული სახლი გადასცა ბორჯომის აღმასკომს.

— **სოც. უზრუნველყოფის საშუალებათა გასაძლიერებლათ.** საქ ცენტრალმასკომმა სოც. უზრუნველყოფის საშუალებათა გასაძლიერებლათ დაადგინა დააარსოს განსაკუთრებული კომისია.

— **პროლეტარულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა სასტუმროები „ბრიტანია“ და „იტალია“ გადაეცეს პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს აღნიშნულ სასტუმროებში პროლეტარულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ბინების მოსაწყობათ.

— **სამგლოვიარო მატერიები.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ლენინის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო დღეებისთვის შეძენილი მატერიები 200 არშინის გარდა გადაეცეს განათლების განყოფილებას საბავშვო სახლების საჭიროებისათვის.

— **ლტოლვილთა მაგიდა.** ლტოლვილთა მაგიდის საქმეების წარმოება, რომელიც დაკისრებული ჰქონდა შინაგან საქ. სახ. კომისარიატს, დაევალა ქალ. აღმასკომის საქმეთა მმართველობას.

— **ყოფილ მემამულეების მიწები.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ყოფილ მემამულეების მიერ თვითნებით დამუშავებული მიწების შემოსავალი ჩამოერთვას (თანახმად აღმასკომის 11 იანვრის ბრძანების № 1) და გადაეცეს ადგილობრივ საგლეხო კომიტეტებს.

— **ბაღებში ხეების მოჭრის აკრძალვა.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა სადგკილ-მამულო განყოფილებას, რათა ბაღებში ხეების მოჭრის წინააღმდეგ მიიღოს სასტიკი ზომები ზამთრის სეზონის გასვლამდე.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 1 თებერვალს რუსთ. პრ. № 36 კედლის გარღვევის საშუალებით გაქურდული იქნა მოქ. ალექსანდრე თევდორეს ძე ივანოვის პარფიუმერიის მაღაზია. წაღებულია სხვადასხვა პარფიუმერიის საქონელი, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია. ეჭვით შეიპყრეს ეკატერინა ვარდენის ასული დანიშვილი-რუხაძისა და მოდარაჯე ერვანდ მელიქ-ეტიანცი.

— **ქურდობა.** 1 თებერვალს მარტყოფის ქ. № 26 გაქურდული იქნა მოქ. ნინა დივანოვის ბინა. წაღებულია: 1 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს მედალიონი, 1 წყვილი ოქროს საყურეები, ერთი რედიკული ვერცხლის, 2 ზეწარი, 2 ლოგინზე გადასაფარებელი, 2 სუფრა, 1 საბანი, ორი ბალიშის პირი და ერთი ჩერვონეცი. ეჭვით შეიპყრეს იმავე სახლში მცხოვრები გიორგი ალექსეევი.

— **ქურდობა.** 30 იანვარს დილის 3 საათზე სამხედრო ქ. № 11 გაქურდული იქნა მოქ. [illegible] ბინა. წაღებულია სხვადასხვა ნივთები ღირებული 70 ჩერვონეცის.

— **ჯიბის მოჭრა.** 30 იანვარს ღამის 9 საათზე მიხეილის პრ. ტრამვაის რონდოში მოქ. ალექსანდრე დრანკოვს მოჰჭრეს ჯიბე და წაიღეს საფულე 18 ჩერვონეცით და 600 მილიონი ბონებით.

— **შეპყრობა.** 1 თებერვალს შეიპყრეს ექვთიმე გიორგის ძე ჯოჯაძე, რომელსაც ბრალდება ილ. ტყემალაძის, ნატალი ხვედელიძის, მატრონა ვასილის ასულის რუხაძის და შალვა ჯიშკარიანის ბინების (ჩერქ. ქ. № 137) გაქურდვა.

ხელოვნება

ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯი“-ს მანიფესტი

(დისკუსიისათვის *)

„ძველი თეატრი ნანგრევებში“.

ეს დებულება პრინციპიალურია. იგი შეეხება არა მარტო ქართულ თეატრს, არამედ მთელი მსოფლიო სათეატრო ხელოვნებას. ფაქტები: ა) რევოლიუციამდე მოსკოვში წარმოებული დისკუსია თეატრის გარშემო, სადაც ზოგიერთი დიდი თეატრის მოღვაწენი თეატრის სრულ უარყოფამდისაც კი მივიდნენ (ჰუხენვალდ—თეატრის უარყოფა) ბ) დაშლა დიდი თეატრებისა, როგორც მაგ. ანტუანის და მოსკოვის სამხატვრო თეატრის.

უკანასკნელის ნგრევა იმ წერტილამდეც კი მივიდა, რომ ამჟამად იგი ოპერეტებით საზრდოობს, გ) უარყოფა ძველი თეატრალური ფორმებისა გერმანიაში და ძიება ახალისა ექსპრესიონიზმის სახით (ცნობილ ექსპრესიონისტ გეორგ კაიზერის მიუნხენის სამხატვრო თეატრში მთავარ რეჟისორად და სამხატვრო ნაწილის გამგედ მიწვევა). დ) ახალი მიმდინარეობათა თეატრების შექმნა რუსეთში (მეიერხოლდის, რადლოვის, ფორეგერის და სხვა), ე) სრული გადაგვარება თეატრის, როგორც ასეთის ამერიკაში და განმტკიცება „მუზიკ-ჰოლის“.

ჩამოთვლილი ფაქტები საკმაოდ ადასტურებს ძველი თეატრის ჩამორჩენას, დანგრევას.

ნოემბრის 25... ქართული თეატრი აუქციონში, მოგება ჩვენ...

ეს არის ისტორიული აღნიშვნა. როგორი იყო ქართული თეატრი 1922 წ ნოემბრის 25-მდე? ის იყო ანარეკლი ევროპის ძველი ნატურალისტურ თეატრისა, ნოემბრის 25-ს ქართულ თეატრში ხდება გარდატეხა. ზოგიერთი ჯგუფები არტისტთა წრეში და საზოგადოების ერთი ნაწილი ისევ თეატრის ძველ ფორმებისაკენ იწევდა, ზოგიერთნი კი ინტუიციით მიისწრაფოდენ ახალ გამოსახვისაკენ; ამრიგად თეატრი თითქოს აუქციონში მოიქცა. ყველას ახსოვს, რომ ამ ხანებში მთავარ სამხატვრო კომიტეტში იდგა საკითხი ქართული თეატრის ყოფნა არ ყოფნის შესახებ და აი, სწორედ აქ, ნოემბრის 25 მა, როდესაც პირველად დაიდგა ქართულ სცენაზე „ცხვრის წყარო“, მოგვცა გზა განახლებისა და საშუალებანი ახალი თეატრის ძიებისა. ეს გამარჯვება იყო გამარჯვება იმ ჯგუფებისა, რომელიც ინსტიქტიურად მიისწრაფოდა ახალ ფორმებისაკენ. ცხადია მოგება აუქციონიდან ერგო ამ ჯგუფს.

ფიზიოლოგიური განცდანი ისტორიის ნაოჭებში...

ნატურალისტურ თეატრის ფიზიოლოგიურმა განცდებმა მიიყვანა თეატრი მიმბაძველობამდის ყოველ დღიურ წვრილმან ცხოვრებისა. არტისტი გარდაიქცა თითქო ფოტოგრაფიულ ფირფიტად; ნატურალისტური თეატრი მოითხოვდა მისგან, რაც შეიძლება, ცხოვრებასთან დაახლოვებას. ფსიქოლოგიური თვით ჩიჩქნაში, არტისტმა დაკარგა ოსტატობა, დაკარგა წარმოდგენა თავისი სხეულზედ; აწეული გრძნობა ხურდავდებოდა უბრალო ყოველდღიურ ცხოვრებაზე, დაკარგა ნამდვილი თეატრალური პათოსი და ისწრაფოდა მხოლოდ ერთისაკენ: ჟესტით, მიმიკით, პლასტიკით დამსგავსებოდა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ადამიანებს. თეატრი მივიდა წვრილმან ზნეჩვეულების მეჩხნურ განსახიერებამდი, და იმ დროს, როდესაც მსოფლიო შეარყია ახალმა იდეებმა, ნატურალისტური თეატრი თავისი ფიზიოლოგიური განცდებით გატაცებული იყო [illegible] (საფრანგეთი), ან კიდევ ისტორიულ არქეოლოგიურ აღდგენით ძველი თეატრისა (გერმანია—მისტერია რეინჰარდის; რუსეთი—ევრეინოვი და დრიზენი „უძველესი თეატრი“) ან კიდევ ფეოდალურ კაცუნების ასახვით (რუსეთი—სამხატვრო თეატრი). ჩვენი თეატრი, როგორც პირდაპირი მიმბაძველი რუსეთის თეატრის აწარმოებდა განსახიერებას ავლაბრის მეჩხნეების ცხოვრებიდან, ან კიდევ პროვინციელ ტიპებისა. ამდაგვარად ცხოვრებამ, რომელიც გიგანტიური ნაბიჯებით მიისწრაფოდა წინ, გადაისროლა უკან ძველი ნატურალისტური თეატრი,— და სადღა აქვს ადგილი ფიზიოლოგიურ განცდებს, თუ არა ისტორიის ნაოჭებში.

ქურუმთა ხარხარი და მწუხარება კეთროვან ბალღ ხიზნედ პანთეონისაკენ...

მსოფლიოში იყვნენ ძველი დახავსებულ თეატრის მიმდევრები, რომელნიც ხან გულისტკივილით, ხან დაცინვითა და ხარხარით, ხშირად თითქმის გულწრფელ ცრემლებითაც კი ახალი გზების ძიებისათვის ყოველგვარ ლტოლვილებას ხვდებოდნენ ასეთი ხალხი ხშირად ითვისებდა ქურუმთა სახელს, ვითომ ერთად-ერთი დამცველი ძველ ღირებულებათა; ისინი კანონად სახავდნენ ყველაფერს, მათ თანამედროვეს და იქვის თვალით უყურებდნენ ყოველგვარ მისწრაფებას განახლებისაკენ. ასეთ მოღვაწეთ, რასაკვირველია, არ შეეძლოთ ოდნავ მაინც შეეგნოთ რწმენა ახალ ძიების მესვეურთა. უკანასკნელნი, პასუხად ქურუმთა ასეთ მწუხარება ხარხარისა, იმიჯნებოდნენ იმათგან სრულიად და მათი ხარხარ-მწუხარებას აგზავნიდნენ პანთეონისაკენ. ჩვენ არ დაგვინგრევია ძველი, იგი თვით დაინგრა. ჩვენ ვიცით, რომ წარსულში ძველ ფორმათა გამოსახველებათ ყავდნენ თავისი გენიალური შემოქმედნი, მაგრამ ისინი იყვნენ შეხამებულნი მხოლოდ თავის დროსთან, თავის ეპოქასთან. ეხლა კი მათი გზები სრულიად დასცილდნენ თანამედროვე ცხოვრებას.

ოქროპირთა კატასტროფა ტრაგედიებში.

არტისტი ცოცხალი თეატრალური გრძნობა პათოსით ვერ ურიგდებოდა ვიწრო ნატურალისტურ თეატრს. იგი ხშირად ეძებდა გამოსავალს ყოველდღიურ ცხოვრების ჩარჩოდან თავის ძალების გამოყენების მიზნით უდიდეს ტრაგიკულ სახეების განსახიერებაში. იგი მოგზაურობდა ქალაქიდან ქალაქში „ჰამლეტის“, „კინის“, „ოიდიპოსის და „ნატან ბრძენის“ სახეებით, მაგრამ რა კატასტროფას განიცდიდა იგი, საწყალი, ივან ივანიჩის და მარია ვასილიევნას ანსამბლში.

ძველი დრამატურგია ბიწვებ დამძვრალი მელოტის თავით.

რა უნდა ვსთქვათ ძველ დრამატურგიაზე საფრანგეთში ბატაილი თავის „ტიტველი ქალით“, მთელ მსოფლიოში „პოტაში და პერლამუტრ“ სუდერმანის „შემოდგომის ჰანგები“ რუსეთის სამხატვრო თეატრში, და ზემოდ დასახელებულ ტიპის ნაწარმოებთა მიბაძვა ჩვენი დრამატურგების სახით—ეს დრამატურგია გამოხუნებულია, მელოტი და ბიწვებ დამძვრალი, რომელთაც არა გვგონია მთელი დედამიწის ზურგზედ რომელიმე თეატრი დაუბრუნდეს.

არშინ მალ ალანის გვარდია ხურჯინით მურტალ მოდრეკილ ზურგზე—გასტროლიდან შემოდგომამდე...

ძველი თეატრის გაკოტრება ჩვენში ყველაზედ უფრო საგრძნობლად იმაში გამოიხატა, რომ ზოგიერთნი მსახიობნი ჯგუფობრივ მოგზაურობდნენ პროვინციაში, დაატარებდნენ არამშვენიერ სახეებს კლასიკურ ტრაგედიისას ან კომედიისას და თეატრით მოწყურებულ პროვინციის საზოგადოებას არშინ-მალ-ალანით უმასპინძლდებოდნენ! ჩვენ მათთან ვერ ვივლით.

ბებერი კამეჩები საგასტროლო შოთას პროსპექტზე.

თუ კიდევ მოიძებნება გულუბრყვილო პირები, რომელნიც ოცნებობენ თითქოს თეატრის ფუძე დამყარებული იყოს ერთ-ერთი შემსრულებელზე, მაშინ სრულიად სამართლიანია მათი გულუბრყვილობის დამსგავსება კამეჩის გულუბრყვილობასთან. ზედმეტია იმისი თქმა, რომ გასტროლებს უკვე ადგილი არა აქვს არც ერთ სერიოზულ თეატრში. მათ დარჩენიათ მხოლოდ პროსპექტის უსაქმო მოხეტიალეთა ყურადღება.

ქართული თეატრი შლამიან ჰაოსიდან ამოტივტივებული...

აქ ქაოტურ პერიოდის გამოურკვევლობაში, სადაც ჰქუხდნენ გასტროლიორი, ნატურალისტური თეატრი, ყოფა-ცხოვრების თეატრი, აქა იქ იჩრება ნორჩი გაქანებანი ახალი თეატრისაკენ; ჩვენ გვჯერა, რომ მარცვალი, გადასროლილი 25 ნოემბერს, მოგვცემს მცენარეს, რომელიც სურნელოვან ყვავილად გაიშლება ახალი ქართული თეატრის სახით. ეს რწმენა ჩვენი ურყევია, რომლის მკვეთრი გამოსახულება არის პაროლი „დურუჯი“.

„დურუჯი“.

ეს სიტყვა არ არის გადმოტანილი უცხო ენიდან, არც ახალი ფორმაციის სიტყვაა. ეს სახელია მუდამ შფოთი დაუდეგარი მდინარისა კახეთში, რომელიც დაუნდობელი რისხვით და მქუხარე ყვირილით მიმოაგრევს ყოველგვარ დაბრკოლებებს თავის სვალ გზაზე და ეძებს ახალ-ახალ ჩარჩოებს.

ჩრდილოეთით მოვარდნილი კენტავრი...

საქართველოს ღვიძლი შვილი ელიზნებული მშობლიური მზის ცეცხლოვან სხივებით, გატაცებული ჩვენი ყვავილების სილამაზით, შემოქმედებითი პოეზიით, ტემპერამენტით და დინამიკით ჩვენი ერისა; მან გაშალა ფრთები თავისი ნიჭის სხივოსნობით

---

*) ჩვენ საშუალებას ვაძლევთ კორპორაცია „დურუჯი“-ს წარმომადგენლებს გამოსთქვან თავიანთი შეხედულება თეატრის ახალი ამოცანების შესახებ. **რედ.**

მუშათა ხმოვანება

მუშა-ქალების ხმა

აღარ გვყავს მამა ლენინი, რომელმაც დაისახა მიზნად მუშა-ქალების ცხოვრების გაუმჯობესება მათთვის ყოველივე უფლების მინიჭება, და მათ მამაკაცებთან გათანასწორება როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურადაც. ლენინი არის მშრომელი კლასის, განურჩევლად სქესისა, თავისუფლების ბელადად მოვლინებული მთელი დედამიწის ზურგზე. ამ გენიოსმა ადამიანმა შესძლო სიბნელისათვის ფარდის ახსნა და ჩვენი თავისუფლების ბრწყინვალე მზის სხივებით გაგვინათა, რომელიც თან გვათბობს საუცხოვოდ. მან დაარსა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი და უძლეველი კომპარტია, რომელსაც თვითონ უძღოდა, აღმოაჩინა ახალი გზა აღთქმის მხარისკენ; მიწის მექვსედი ნაწილი მისცა მუშებს და გაამეფა შრომა. აღმოფხვრა ძირიან-ფესვიანად ძველი უსამართლობა, განთავისუფლდა დამონებული მშრომელი კლასი.

ჩვენი მუშა-ქალები, რომლებიც იყვნენ დამონებული, დაჩაგრულნი უსამართლოდ, ყოველივე უფლებას მოკლებულნი და ატარებდნენ კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას,—დღეს სრულ უფლებიანი არიან. ამ გენიოსმა ადამიანმა ჩვენც მოგვანიჭა ყველა უფლებები მუდმივმა დაუღალავმა შრომამ მშრომელი ხალხისთვის მოღალა, დაჰქანცა და სიცოცხლეს გამოასალმა. მოკვდა ჩვენი ბელადი—დიდი ლენინი. მაგრამ ჩვენი მოვალეობა არის შევკავშირდეთ მჭიდროდ და გვერდში ამოუდგეთ კომინტერნს და ანთებული ჩირაღდანით გავწიოთ ჩვენი ბელადის ნაჩვენებ გზაზე.

და ეს იქნება ჩვენთვის ბრწყინვალე გამარჯვების გზა.

გაუმარჯოს ჩვენს მტკიცე კავშირს!

მუშა ქალი მარო გველესიანი

რკინისგზის დამცველ რაზმელებში

ა. წ. 24 იანვარს მოხდა საგანგებო კრება მე 2 რაიონის რკინისგზის ტფილისის კვანძის და ამიერ კავკ. რკინისგზის დამც. რაზმის განყოფილების თანამშრომლების, რიცხვით 200-მდე კაცის. კრებაზე მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ბზიკალავა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ ლენინის ბიოგრაფიის და მის მოღვაწეობის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ითვალისწინებს რა კრება, რომ ლენინის სახით ჩვენ დავკარგეთ გენიოსი, მასწავლებელი, მუშმერაზი — ხელმძღვანელი, მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციისა, ლახვარი ბურჟუაზიის დასასამარებლად ისეთ რთულ პოლიტიკურ მომენტში, როგორც არის თანამედროვე ხანა, ერთხმად ფიცსა ვდებთ ძვირფას დაუვიწყარ მასწავლებლის ცხედრის წინაში, რომ მტკიცედ შეკავშირებული მის მიერ დაარსებულ კომუნისტურ ინტერნაციონალში წითელ დროშის ქვეშ, ლენინიზმის ფარით ხელში ვიბრძოლებთ იმ დიად საქმისათვის, რომელიც გვიანდერძა დაუვიწყარ მასწავლებელმა, ამხ. ლენინმა მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენ გულში“.

მუშკორი კინო.

მამამთავარ ამხ. ლენინის ხსოვნას

ამხ. ლენინის სიკვდილის გაგონებაზე საშინელმა ჟრუანტელმა გამიარა სხეულში. პირში ნერწყვი გამიშრა, სუნთქვა შემეკრა და თითქმის ერთ საათზე მეტი ხმა ვეღარ ამოვიღე, ეხ, ბუნებავ, არც შენ გქონია სამართალი! მართლა ბუნებას ვინღა მისცა სამართალი!! სამართალი შენ გქონდა დიდებულო ილიჩო, შენი გენიალური გონება, მტკიცე რწმენა, შეუპოვარი ნებისყოფა მუშის და გლეხის გულში არასოდეს არ ამოიშლება. შენ, მამა მთავარო, გენიოსო, ილიჩ, ვფიცავთ შენს სახელს, იყავ დარწმუნებული, რომ შენს ნაანდერძევს ჩვენ სახელოვნად შევასრულებთ და მთელ მსოფლიოში შრომას გავამეფებთ და წითელ დროშას ავაფრიალებთ კიდით კიდემდე. მშვიდობით, ჩვენო მასწავლებელო, შენს მოძღვრებას არ ვუღალატებთ არასოდეს, კიდევ უფრო შევამჭიდროებთ ჩვენს რიგებს სამუდამო გამარჯვებისათვის.

თამბაქოს ფაბრიკის მუშა მ. გარსევანიშვილი.

გამოურკვეველი მდგომარეობა

თითქმის ისე დღე არ გაივლის, რომ გაზეთში არ ამოვიკითხოთ იმ არანორმალურ მდგომარეობის შესახებ, რომელსაც განვიცდით დღეს ჯამაგირების მიღების დროს. საქონლის მანეთი, რომელსაც ვიღებთ შრომის ხელფასში, თითქმის ჩერვონეცის მანეთს გაუთანასწორდა და მან დაჰკარგა ის წინანდელი მნიშვნელობა, რაც მას ამ რამდენიმე თვის წინედ ეჭირა. ამ ვალიუტის ვაკხანალიის დროს მუშები ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ არც კი ვიცით, რა უყოთ იმ გროშებს, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ და ყველა ჩვენთაგანი ჩქარობს როგორმე ჩქარა იყიდოს, ხანდახან სულ უსარგებლო ნივთებიც კი, რომ ბონები არ დარჩეს მას ჯიბეში. ამით, რასაკვირველია, სარგებლობენ სპეკულიანტები და ისინიც ერთი ასად უმატებენ სანოვაგეს ფასებს, და ისედაც კურსდაცემულ დღევანდელ ფულს სრულიად ეკარგება ყოველივე სყიდვითი უნარი. ეს კი მუშებს უკიდურეს პირობებში აყენებს.

მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის ადგილკომმა 16 იანვარს გამოიტანა დადგენილება 140 მუშების სახელით და მიმართა ბეჭდვითი კავშირს განცხადებით, რომ მიღებულ იქნეს ზომები და მუშათა შრომის ხელფასის საქონლის მანეთის რეალური მნიშვნელობა ნამდვილად იქნეს გატარებული ცხოვრებაში, ვინაიდან დღევანდელი ასეთი მდგომარეობა მუშებს ძლიერ აღელვებს, რადგანაც მუშები ამით ბევრს ჰკარგავენ, და თუ ამას დაუმატებთ ისეთი წვრილი ფულების ჯამაგირების დროს დარიგებასაც, როგორც ეს მოხდა ჩვენში 15 იანვარს, მაშინ ადვილი წარმოსადგენია ის, რომ მუშებში უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი, რაც, იმედია, შემდეგში აღარ განმეორდება.

ადგილკომს დაევალა ჩვენი განცხადება წარუდგინოს ბეჭდვითი კავშირ, რომელმაც საჭიროა დროზე მოგვაქციოს ყურადღება სათანადო პროფკავშირებთან ერთად და ერთხელ და სამუდამოდ გამოსწორდეს რესპუბლიკის მასშტაბით ის არანორმალური მდგომარეობა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს და მოგვეცეს ის განსხვავება, რასაც ჩვენ ვკარგავთ ყოველთვის ჯამაგირების მიღების დროს. აი ამას ექნება რეალური მნიშვნელობა და მუშასაც საშუალება ექნება სრულიად უფასოდ ის აღარ გაფლანგოს გამოუსადეგარ საგნებში.

მუშკორი უ. ჯაში.

მოგვეცით სახსრები

ამხ. კამოს სახელობის საფაბრიკო სასწავლებლის ცხოვრებიდან.

ჩვენ სასწავლებელში 350-მდე ახალგაზრდა, 14—19 წლის, მუშებისა და გლეხების მოწაფე შვილებია.

დილის 8 დან 12 საათამდე. მოწაფეთა ერთი ნაწილი სკოლაში მეცადინეობს, ხოლო მეორე ნაწილი მუშაობს სახელოსნოებში. 12 საათიდან კი ნაწილები ერთმანეთს ცვლიან.

მოწაფეთა საერთო რაოდენობიდან 100 ახალგაზრდა სცხოვრობს სკოლის საერთო საცხოვრებელ ბინაში.

საერთო ბინა.

მდგომარეობა უხერხულია; მოწაფეებს თითო არშინზე სძინავთ; საცვლები თითქმის სულ არ აქვთ; არ აქვთ არც ტანსაცმელები; დადიან დაგლეჯილი შარვლითა და ხალათებით. მათ აწუხებს უფეხსაცმელობაც. თბილი საბნები წვრილთაა დაფარული, რის გამო მოწაფეები სიბინძურეს განიცდიან, სხედან, იქექებიან და იგლეჯენ თავიანთ ტანსაცმლებს.

ეს ბინა სრულებით არ აკმაყოფილებს მინიმალურ სანიტარულ მოთხოვნილებას.

სწავლის საქმეც ცუდათაა.

მოწაფეებს არ აქვთ არავითარი სახელმძღვანელო, სასწავლო ნივთები. სახელოსნოებშიც დღეს თუ არა ხვალ მუშაობა შეწყდება, რადგან არ არის ნედლი მასალა, მატერიალი.

საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ეს ჯერ არს და ეს დეფექტები გამოსწორებული იქნეს.

მუშკორი მახს.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

მტვირთველ მუშას.

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ მუშაობდით სადგ. ტფილისის მტვირთველ (კურტნის) მუშად და თქვენ ეღებდით თვეში საქონ. თორმეტ მანეთს, შემდეგ თქვენ სამსახურიდან დაგითხოვეს ისეთი მოწმობით, რომ არ შეგეძლოთ სადმე სხვა ალაგას დამდგარიყავით სამსახურში და ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდით მთელ ოთხი თვის განმავლობაში. ბოლოს სასამართლომ თქვენ გაგამართლათ, ვინაიდან თქვენზე ბრალდება არ გამართლდა.

ეხლა თქვენ გვეკითხებით

1) ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციას ზემოაღნიშნულ ხასიათის მოწმობის თქვენთვის მიცემის უფლება?!

2) ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია ხელახლად დაგიშვას ძველ სამსახურზე? და უნდა მოგცეთ თუ არა თქვენ, როგორც გამართლებულს, თვეში 12 მანეთი იმ ოთხ ძალაუნებურად გაცდენილ თვის განმავლობაში?

პასუხი.

1) ადმინისტრაციას, თანახმა შრ. კან. კოდექსის მუხ. 41—42, არ ჰქონდა არავითარი უფლება მიეცა თქვენთვის ისეთი მოწმობა, რომელიც თქვენ გართმევდა სხვაგან სამსახურში შესვლის უფლებას: ასეთი მოწმობა უნდა შეიცვალოს დაუყოვნებლივ ახლად, სადაც უნდა აღინიშნოს მხოლოდ და მხოლოდ თქვენი სამსახურის კატეგორია, (გვარი) სამსახურში ჩარიცხვის და დათხოვნის დრო;

2) ვინაიდან სასამართლოს წესით თქვენ გამართლდით, ადმინისტრაცია ვალდებულია აღადგინოს თქვენ ძველ სამსახურზე დაუყოვნებლივ, მხოლოდ ჯილდო კი იმ დროისთვის, რომლის განმავლობაში თქვენ არ გეძლეოდათ შრომის ხელფასი (თქვენი სიტყვით—4 თვე) თქვენ არ გეკუთვნით და მას ვერც მოსთხოვთ ადმინისტრაციას:

(იხ. განმარტება ა. | კ. შრ. სახ. კომისარ. შრომ. კან. კოდექ. 47 მუხ. — იხ. „კომუნისტი“ 1923 წ. 20 ივნ. № 139).

ჩვენი მუშების წერილები მიზანს აღწევენ.

(ქალ. აღმასკომის პასუხები).

1) შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტი“-ს მე 276 ნომერში სათაურით „გარყვნილების ბუდე“ ტფილისის მ. | გ. მილიციის უფროსმა მიმართვით 31 დეკ. 23 წლ. 633 ნომრით შეგვატყობინა, რომ მცხოვრებნი ელისაბედის ქ. სახლი № 45—ხორია და აბბარცუმა ოგანეზოვი დაპატიმრებულნი 3 დეკ.—105146 ნომრით გადაგზავნილ იქნენ მე 5 უბნის გამომძიებელთან პასუხისგებაში მისაცემად.

2) გაზ. „კომუნისტი“-ს № 286-ში მოთავსებული წერილის გამო სათაურით „ჩარჩები უნდა ავლაგმოთ“. ტფილისის მ | გ. მილიციის უფროსმა მიმართვით 31 დეკემბრიდან 1923 წლ. № 908 ით შეგვატყობინა, რომ მილიციის მიერ დიდი ხანია იყო შემჩნეული რამოდენიმე პირები ჩარჩობაში და ვაჭრობის დროს მოტყუებაში, რომლებიც პატიმრდებოდნენ და სათანადო ოქმით ეგზავნებოდნენ და ეხლაც ეგზავნებიან სახალხო მოსამართლეს პასუხისგებაში მისაცემად. თუ ასეთი ბოროტ მოქმედნი ვინმე პირი აღმოჩნდება, მომავალში იმასაც ამგვარი ბედი მოელის.

3) შესახებ წერილისა წ. წ. 15 დეკემბრის (მე-289 ნომერში) სათაურით „ქუჩა ჯოჯოხეთი“ აღმასკომის კეთილ-მოწყობი განყოფილება გატყობინებთ, რომ ქალაქის მილიციის უფროსს მიეცა ცირკულიარული განკარგულება, რათა მას გამოეცხადებინოს ყველა სახლის პატრონთათვის, რომ მათ შეაკეთონ თავის სახლის წინ ყველა დაზიანებული ნაწილები ტროტუარებისა.

4) შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტი“-ს მე 2 ნომერში სათაურით: „დავიწყებული და გაბინძურებული ქუჩა“—გაცნობებთ შემდეგს: აღმასკომის კეთილ-მომწყობ განყოფილებამ მომართვით ა. წ. 16 იანვრიდან 124 ნომრით შეგვატყობინა, რომ წერილში მოხსენებული ნაკადული მათ მიერ ყოფილა შემჩნეული ა. წ. 2 იანვარს და მიღებულ ზომებით წყლის დინა შეჩერებულია.

ინფორმატორი ვარდოსანიძე

საერთაშორისო თეატრალურ ხელოვნების ასპარეზზე, პირველი იყო, რომელიც აუმხედრდა რუსეთში ნატურალისტურ თეატრს. კენტავრი მონავარდე ახალ ღირებულებათა ძიებისათვის, ახალ ფორმების მიღწევებით გამოქვალული დაუბრუნდა თავის კერას; ის ჩვენთან არის. 25 ნოემბერს—ქართული თეატრის აუქციონის დღეს გადმოგვცა მან თეატრი ჩვენ ახალი გზების მაძიებართ. გამობრძმედილ მებრძოლთან და ძვირფას ხელმძღვანელთან ერთად გვწამს, რომ ქართ. თეატრს მივიყვანთ ახალ მიღწევათა მწვერვალამდე.

ქართული თეატრი ახალი ცეცხლის ალებში... დურუჯი—შემართენი... ნოემბრის 25... საზეიმო ყვავილი გამარჯვების ყურეზე...

ახალი ცეცხლით აღგზნებულია ჩვენი გული. ჩვენ მზადა ვართ ვიყოთ, რამდენადაც კი შეგვწევს ძალა და ღონე, ახალი შემარცხენე ხელოვნების შემომქმედნი, რომლის გზები უკვე ჩაისახა რუსეთში და გერმანიაში.

25 ნოემბრით ჩვენ უკვე უწვდით ხელს ახალ დიდ თეატრალურ მიმდინარეობას; გვწამს და ვიზიარებით რა მსოფლიო ხელოვნებას, არა თუ ვანგრევთ ეროვნულ კულტურას, არამედ გამოგვყავს იგი ვიწრო ჩარჩოდან ფართო საერთაშორისო გზაზე. და როდესაც დაიწყება შენება მსოფლიო ახალი თეატრის ტაძრისა, დიდ ქართველმა არტისტმაც მიიტანოს თავისი წვლილი. ჩვენ გვწამს—იფეთქებს ტრიუმფალური გამარჯვების ყოველი ეროვნულ ხელოვნების სათანადო აღორძინებისა ფართე საერთაშორისო არენაზე, ამისთვის ვიმუშავებთ რწმენის სიმბოლოს. ჩვენ ვისწრაფით შევქმნეთ **არტისტი მუშპარიანი, არტისტი გიჟი, არტისტი ცეცხლოვანი, არტისტი მფეთი, არტისტი გოროზი, არტისტი ფაფარყრილ რაშზე, არტისტი კადნიერი, არტისტი რისხიანი!**

კენტავრი ვეფხვით საერთაშორისო კარნავალში.

მარჯანის ფერი მზე.

„დურუჯი“.

ჯერ-ჯერობით კი ჩვენს მისწრაფებაში ვეფხვის მსგავსად შემოვრკალავთ ჩვენ ძვირფას მასწავლებელს შემოქმედების თავბრუდამხვევ კარნავალში. ძალა ავაფრიალებთ მარჯნისფერ დროშას და გულის სიღრმიდან ამოვძახებთ ჩვენს პაროლს „დურუჯი“.

— სახ. ოპერის თეატრს მიეცა ლენინის სახელი. სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით ტფ. სახელმწიფო ოპერის თეატრს დაერქვა ლენინის სახელობის თეატრი.

ლენინის ხსოვნის საღამო. დღეს საღამოს 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ლენინის ხსოვნის საღამო. მოხსენებას ლენინზე გააკეთებს ამხ ფილიპე მახარაძე, მოხსენების შემდეგ პროლეტარული მწერლები წაიკითხავენ ლექსებს ლენინზე.

— რომანსების საღამო ახლო მომავალში გამართული იქნება მთელი რიგი საინტერესო კონცერტებისა. ამათგან საჭიროა აღინიშნოს სახელმწიფო ოპერის მსახიობის ზავალოვის რომანსების „საღამოების“ ციკლი.

ზავალოვის კონცერტების პროგრამა მიძღვნილია ჩაიკოვსკის, რახმანინოვის და ვოკალურ შემოქმედების სხვების ნაწარმოებებისადმი.

— ნიკო ლომაურის ნაწერების გამოცემა. სახელგამმა მიიღო გამოსაცემად ნიკო ლომაურის მოთხრობები, რომელთა ბეჭდვას გამომცემლობა შეუდგება ამ დღეებში.

— სეზონის ბილეთების გაუქმება. რუსთაველის თეატრის სეზონის ბილეთები გაუქმებულია, მის ნაცვლად დარიგდება ახალი სეზონის ბილეთები. ძველი ბილეთების გამოცვლის ვადა დანიშნულია 10 თებერვალი 1924 წ. ყოველ დღე.

— ლიტერატურულ მუსიკალური საღამო. დღეს, საღამოს 8 საათზე ქართველ „წითელ არმიელთა“ ცენტრალურ კლუბის დარბაზში (რუსთ. პროსპექტზე № 10) გაიმართება დიდი საზეიმო ქართული საღამო. ე. დვალი წაიკითხავს ლექციას შ. რუსთაველზე ა. მაისურაძის სახალხო მომღერალთა გუნდი იმღერებს ქართულ სიმღერებს; გაიმართება ქართული ცეკვა.

— სოფ. ალანის სახალხო სახლი. სოფ ალანის სახალხო სახლის დასამთავრებლათ საქ. სახ. კომისართა საბჭომ გაიღო 500 მან. ჩერ.

დღის თეატრებში.

— ოპერა. „კარმენი“.

— სახ. სახლი. რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

ლენინის დასაფლავების დღე თელავში

23 იანვრიდან მთელ ქალაქში სამგლოვიარო დროშები და ლენინის სურათებია, ვრცელდება ფურცლები, განცხადებანი. ყოველმხრივი მწუხარებაა. 27 იანვარს მეტი გლოვა. მწუხარება. ბუნებაც სტირის.

ყველა მშრომლები იკრიბებიან თავიანთ პუნქტებზე, საიდანაც მწყობრი რიგებით მიემართებიან საერთო შესაკრებ ადგილებზე—„ქვემო ნადიკვარი“. წავიდნენ ჯერ კომუნარები, შემდეგ მწვევადებნი, მოსწავლე ახალგაზრდობა, ცხენოსან წითელარმიელთა პოლკი, სპარტაკელები, პროფკავშირები, მოქალაქენი.

აქედან სამგლოვიარო დემონსტრაცია გაემართა „ოქტ. რევ. ბაღი“-საკენ, სადაც გაიხსნა მიტინგი.

მიტინგი გახსნა ამხ. თამარა ცინცაძემ, სიტყვები წარმოთქვეს: ქორიძემ, ფრანგიშვილმა, შუმილოვმა, აგრეთვე პროფკავშირების, რკინისგზის მუშების, წითელარმიელთა და მოქალაქეთა წარმომადგენლებმა.

იყო სალიუტი. სამგლოვიარო დემონსტრაციამ შემოიარა ყველა მთავარი ქუჩები.

მწუხარებასთან ერთად ურყევი იმედი, მეტი გაკაჟება, რიგების მეტი შემჭიდროება; დაინგრევა დაბერებული ბურჟუაზიული წყობილება, გაიმარჯვებს ლენინიზმი. ის უკვდავია—ასეთია განწყობილება მშრომელებში.

ამ აზრით დაიშალა მშრომელთა ზღვა.

ამ დღის სამგლოვიარო მიტინგი და დემონსტრაცია იყო იშვიათი, უნახავი ისე, როგორც თვით ბელადი ლენინი საერთაშორისო მუშათა კლასისათვის.

ტფილისში გაგზავნილ იქნა მაზრიდან 7 ამხანაგებისაგან შემდგარი დელეგაცია.

ადგილებზე, სოფლებში აგრეთვე სათანადოდ ჩატარდა მიტინგ-დემონსტრაციები.

ჟორა მუშათაშვილი.

გლოვის დღე სენაკის მაზრაში

ამხ. ლენინის გარდაცვალებამ თავზარი დასცა როგორც პარტიულებს, ისე უპარტიო მთელ მშრომელ ხალხს. ყველანი დამწუხრებულნი იყვნენ მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის სამუდამოდ მოშორებით. დასაფლავების დღეს, 27 იანვარს, შავ ზეწარი გადაიფარა მთელს მაზრას; მუშაობა შეწყდა, შეწყდა ყოველივე მიმოსვლა, როგორც ურმებით, ისე ეტლებით, გამართულ იქნა სამგლოვიარო დემონსტრაციები და მიტინგები ყველა თემებში და რაიონებში, მიუხედავათ ცუდი ამინდისა, კრებებზე მოდიოდა თითქმის ყველა ოჯახის წევრები თემებში ჯერ იმართებოდა სამგლოვიარო დემონსტრაციები და შემდეგ მიტინგები. მიტინგებზე გამოდიოდნენ როგორც პარტიული, ისე უპარტიო ამხანაგები. ფიცს სდებდნენ, რომ, როგორც ერთი კაცი, დაიცავენ ამხ. ლენინის მონაპოვარს. თვით სამაზრო ქალაქში, სენაკში, გამართული იქნა დიდი სამგლოვიარო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 000 კაცმა და ქალმა. 12 საათზე პროცესია მოგროვდა სამაზრო პარტკომთან. მწყობრად სამგლოვიარო დროშებით და ამხ. ლენინის სურათებით, რომელთაც ახლდენ საპატიო ყარაულები, მოგროვდა შეიარაღებული ძალაც პარტკომიდან. პროცესია დაიძრა უმთავრესი ქუჩებით თავისუფლების მოედნისაკენ, სამგლოვიარო მარშს უკრავდა მუსიკა და გამართული იყო რამდენიმე ხორო. მიტინგი გახსნა ამხ. ვანო ჩაკვეტაძემ, რომელმაც აღნიშნა უდიდესი რევოლიუციონერის დაკარგვის მნიშვნელობა.

მიტინგმა გასტანა ნაშუადღევის 4 საათამდის. შეიარაღებულ რაზმმა მისცა გლოვის ნიშნად სალიუტი. მიტინგის მიერ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ დამწუხრებულნი დავსტირით საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის ამხ ლენინის საუკუნოდ ჩამოშორებას, მოკვდა უდიდესი რევოლიუციონერი, დაობლდა მსოფლიო მუშათა კლასი, დაობლდა კომუნისტური პარტია, დაობლდა 3-მე კომუნისტური ინტერნაციონალი. ამხ. ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი იდეა არ არის მკვდარი, ლენინიზმი სცოცხლობს საერთაშორისო მასშტაბით, ლენინიზმმა შეანგრია კაპიტალიზმის კედელი და ქვეყნიერების ერთ მეექვსედზე დაამყარა მშრომელების დიქტატურა, საბჭოთა სისტემა; ლენინიზმმა გვიანდერძა ერთა შორის სოლიდარობა. ჩვენ მუხლებს ვიდრეკთ დიდი მებრძოლის და რევოლიუციონერის, კომუნისტის და მთელი თაობათა შეუდარებელ მასწავლებლის ცხედრის წინაშე და ვსდებთ ფიცს შეურყევლად შევასრულოთ მისი აღთქმანი, ყველა მშრომელთ მუშებისა და გლეხების შორის მჭიდრო კავშირსა და ყველა ჩაგრულ ხალხთა კავშირის შესაქმნელად იმპერიალისტების წინააღმდეგ, სოციალიზმის, კომუნიზმის, რევოლიუციონური მარქსიზმის, ლენინიზმის განსახორციელებლად.

გაუმარჯოს ამხ. ლენინის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას და მესამე კომინტერნს.

ე. შალ—ძე.

შინაური ფრინველების ჭირი გორის მაზრაში

კარგა ხანია გაჰქრა გორის მაზრაში ის დრო, როდესაც ფრინველის ავადმყოფობას ადგილი ჰქონდა და სოფლის მშრომელი ხალხი მთელს ჯოგებსა ზრდიდა ბატებისას, ინდოურებისა და ქათმებისას. ეს დრო გაჰქრა და ფრინველის სხვადასხვა ჭირი შემოეჩვია ჩვენს ქვეყანას. ეს ჭირი ხან ერთს სოფელში, ხან მეორეში გაჩნდება და მუსრს ავლებს ფრინველს. წრევანდელმა წელიწადმა მაინც ყველას გადააჭარბა, არას დროს არ დახოცილა იმდენი ფრინველი, როგორც წელს. არიან მთელი ოჯახები და სოფლები, რომ სულ ამოვარდა ფრინველის ხსენება. საშინელება კიდევ ის არის, რომ ვერავითარი წამალი ვერ რგებს, ვერც სავეტერინარო სამმართველოს მიერ ნაქები მარილის სიმჟავის ხსნილი და ვერც კარბოლის სიმჟავის და შაბიამნის ხსნილმა უშველა. ავადმყოფობა რომელიმე ფრინველის სპეციფიური სენი კი არ არის, არამედ ყველა შინაური ფრინველებისა. დაკვირვებამ დაგვანახვა, რომ ბატიდან ქათამს ედება, ქათმიდან კიდევ ინდოურსა და იხვს და ყველა ამათგან კიდევ ღორებს. ბაქტერია თუ ბაცილა ამ ავადმყოფობისა, რომელიც ჯერ მეცნიერებას არ აღმოუჩენია ყველა ამ ცხოველთათვის ერთგვარი უნდა იყვეს, თორემ შეუძლებელი იქნებოდა ერთმანეთგან გადადება. სავეტერინარო სამმართველო თავის პლაკატებში ხოლერას უწოდებს ამ ავადმყოფობას, მაგრამ უფრო ჭკუაზე ახლოს იქნებოდა მისთვის გვეწოდებია „ჩუმა“ ქართულად ჭირი, რადგან ნიშნებით ეს ავადმყოფობა უფრო ამ უკანასკნელს მოგვაგონებს. საჭირო არის და აუცილებელი დაჭირიანებულს რაიონებში ვეტ-ექიმთა ექსპედიციის გაგზავნა, რათა სისრულით შესწავლილი იყვეს ბუნება და მსვლელობა ამ გადამდები სენისა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ გარდა ამ სენისა მაზრაში არსებობს ფრინველებზედ კიდევ სხვა ავადმყოფობანი, სახელდობრ: დიფტერია, სპირილიოზი და სხვა. ხალხს კი ჰგონია, რომ ყველა ერთი და იგივეა და გაიძახის ერთ თავად „ფრინველის ჭირმა ამოგვაგდოვო“, და რომელმა, ჭირმა, ის კი ვერ გაურკვევია. ამიტომ უფრო საჭირო იყო ყველამ ავადმყოფობების ადგილობრივ ბუნებისა და მსვლელობის შესწავლა და მტკიცე ზომების მიღება. ღორების ჭირმა, მაგალითად ისეთი სხვადასხვა ფორმები მიიღო, რომ ვეტერინალურ ბაქტერიოლოგიურმა სადგურმაც ვერ გამოიკვლია თუ რა გადამდები სენით იყო მკვდარი ერთი ღორი, რომელი ჭირიანი რაიონიდან იყო ჩამოტანილი და ადგილობრივ ვეტერინარს ეინტერესებოდა მისი გაგება. ამიტომ საჭირო იყო მთელი სამეცნიერო ექსკურსიის მოხდენა და გამოკვლევა სოფლის მშრომელ ხალხის ამ მეტისმეტად მაზარალებლის სენისა.

სავეტერინარო სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული ზომები არსებითად არაფერს არ იძლევა. ჩვენის აზრით ყველა ამ გადამდებ სენებთან ისეთივე სასტიკი და მწვავე ბრძოლა უნდა, როგორიც სწარმოებდა სხვილ-ფეხ საქონლის ჭირთან. მოგეხსენებათ, რომ ამ 10—15 წ. წინად სხვილფეხა საქონელს საშინლად ანადგურებდა საქონლის ჭირი. მთელი ხეობები და რაიონები ნადგურდებოდა და ხელცარიელი რჩებოდა გლეხკაცი. მაგრამ სასტიკმა სანიტარულმა ზომებმა და საქონლის შრატით აცრამ თითქმის სრულიად მოსპო ავადმყოფობა და ამჟამად ერთ ორ ადგილას თუ ღონღილებს და თავისს უკანასკნელს დღეებსა სთვლის. სასტიკი იყო და შეუპოვარი ეს ბრძოლა, ბევრი შრომა, ენერგია და აუარებელი ფული შთანთქა ამ ბრძოლამ, მაგრამ საბოლოო მიზანს მიაღწია და რომ ხანდისხან სხვაგნით არ შემოჰქონდეთ ხოლმე ეს სენი, საქართველო სრულიად თავისუფალი იქნებოდა მისგან. აი, აქაც ქათმებისა და ღორების ჭირთან ბრძოლაში იმავე მეთოდს უნდა მივსდიოთ და ისევე სასტიკად ვებრძოდეთ ამიტომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა, ყველა პალიატიური ზომები უკუვაგდოთ, დავამზადოთ შრატები და აი ამ შრატითა და სასტიკ სანიტარული ზომებით ვებრძოლოდ ამ გადამდებ სენებს—ამ გლეხკაცის მეურნეობის გამანადგურებელ და დამღუპველ მოვლენებს. არავითარ შრომას, არავითარ ხარჯებს ამისათვის არ უნდა მოვერიდოთ, რადგანაც წინდაწინ უნდა ვიცოდეთ, რომ ბოლოს ჩვენ გამარჯვებულნი გამოვალთ. სავეტერინარო სამმართველო უნდა ამოძრავდეს მთელი აპარატით, მთელი თავისი შემადგენლობით და მიწათმოქმედების კომისარიატმაც, რომელიც არის გლეხკაცის მეურნეობის გუშაგი და დარაჯი ყოველი მხრივ ხელი უნდა შეუწყოს ამ საქმეს და რაციონალურ ნიადაგზედ დააყენოს ამ სენებთან ბრძოლის საქმე

შარინბეი.

ხრესილის რაიონი (ქუთ. მაზრა)

27 იანვარს, დღის 3 საათზე სად. ხრესილში შესდგა სამგლოვიარო მიტინგი ხრესილის რაიონის გლეხკაცობისა და მუშა-მოსამსახურეების, მუშათა კლასის გამნთავისუფლებელის და შეუდარებელი ბელადის, ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო. მიტინგი გახსნა ამხ. გ. ქასრაშვილმა 3 საათზე. მანვე სთქვა სამგლოვიარო სიტყვა, რომელშიაც დახასიათა ამხ. ლენინის პიროვნება და რევოლიუციონური მოღვაწეობა.

სამგლოვიარო სიტყვებს ამბობენ ამხ. მოსე გვენეტაძე, ახალგაზრდ კომკავშირის წარმომადგენელი ამხ. ვ. ობოლაძე და სხვები, წარმოთქმულ იქნა ლექსებიც. საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. გვენეტაძე, რომელიც ამბობს: მართალია ლენინი უკვე აღარ გვყავს, მაგრამ ცოცხალია მისი საქმე, მისი მოძღვრება და ის უძლიერესი ორგანიზაცია, კომუნისტური პარტია, რომლის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი განახორციელებს თავის ძვირფასი ბელადის ანდერძს.

მ. გვენეტაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომპარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი** იტყობინება, რომ ოთხშაბათს 6 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათ., ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის ყველა წევრების და კანდიდატების საერთო კრება.

მდივნის მაგიერ პირალოვი.

— **საქართველოს კომპარტიის ცეკა** წინადადებას აძლევს ყველა იმ ამხანაგებს და ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ რაიმე მასალები (წერილები და სხვა) ამხ. ლენინის ცხოვრების შესახებ, გამოგზავნონ ისინი ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ლენინის ინსტიტუტის კორესპონდენტის ამხ. ორაგველიძის სახელზე, ლენინის ინსტიტუტში გადასაგზავნათ.

ცეკას მდივანი ლ. ქართველიშვილი.

— **საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება** ამით აცხადებს, რომ ყველა მსურველებმა, რომელთაც სურთ შევიდნენ წითელ პროფესურის ინსტიტუტში (მოსკოვში) 1924—1925 სამოსწავლო წელში, უნდა შეიტანონ განცხადება საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში არა უგვიანეს ა—წ. 18 მარტისა.

ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მდივანი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება** სამშაბათს, 5 თებერვალს, დღის 1 საათზე, ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში იწვევს

წითელი არმიის მე-6 ე წლისთავის და საქართველოს გასაბჭოების მე-3 ე წლისთავის გამმართველი კომისიის თათბირს.

მოწვეული არიან პოლიტიკური სეკრეტარიატის, პოლიტიკური განათლების განყოფილების, ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილების, ქალთა განყოფილების, ახალგაზრდობის კომკავშირის, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილების წარმომადგენლები და რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეები.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ა. პენიაკოვი.

— სამშაბათს 5 თებერვალს. საღ. 6 საათ. მათემატიკოსთა წრეში დანიშნულია მოხსენება სომხურ ენაზე: შრომის სკოლის მე-5 ჯგუფში შედარებითი რიცხვებზე ოთხი მოქმედება დიაგრამების დახმარებით.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

3 თებერვალი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

ფოთში... 6 გრ., ბათომში... 3 გრ., ქუთაისში 0 გრ., აჯამეთში... 0 გრ., ჭიათურაში... 1 გრად., სურამში.. 3 გრად., მუხრანში... 1 გრად., ტფილისში... 0 გრ., ერევანში... 6 გრ., ბაქოში... 2 გრ. (სოხუმიდან, სამტრედიიდან და მუკუზანიდან ცნობები არ არის მიღებული).

ღრუბლიანობა: ტფილისში—სრული. ბაქოში—იგივე. ბათომში და მუხრანში—საგრძნობი. სხვა ადგილებში უმნიშვნელო, ან სულ მოწმენდილია.

ქარის ქროლა: ფოთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი; ბაქოში—სამხრეთ-დასავლეთის, ნელი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ არ ქრის.

ნალექი: ტფილისში ნელი თოვლი დილით. ბაქოში წვიმა ღამით.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან: ფოთში და ბათომში—სიწყნარეა; ბაქოში—სიწყნარე, [illegible] ნელი ღელვა.

ამინდი საქართველოში.

(ცვალებადი ღრუბლიანობა, სიწყნარე, აღმოსავლეთ საქართველოში ჰყინავს, ალაგ-ალაგ არის ნალექიც.

ჩრდილოეთ კავკასია.

3 თებერვალი. დილის 7 საათი.

კავკავი. ტემპერატურა—9 გრ., მოწმენდილია, ქრის სამხრეთ-დასავლეთის ნელი ქარი.

კიზლიარი. ტემპერატურა—5 გრ. მოღრუბლულია, ქრის სამხრეთ-დასავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

4 თებერვალი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 3 გრ., მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

ამინდის ცვლილება.

5 თებერვლისათვის მოსალოდნელია ჩრდილოეთ-დასავლეთის ძლიერი ქარი (შესაძლებელია გრიგალიც).

ტფილისის ცენტრალური პარტკლუბის გამგეობა აუწყებს პარტიის ყველა წევრებს, რომ პარტკლუბთან მუშაობას იწყებს მარქსისტული, ფილოსოფიური, და პარტიულ ისტორიის ჯგუფები.

სამშაბათს, 5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, მოხდება საორგანიზაციო კრება პარტიის ისტორიის შემსწავლელი ჯგუფისა.

ყველა ამხანაგები, რომლებიც ჩაწერილნი არიან ამ წრეებში, აგრეთვე მათს მუშაობაში მონაწილეობის მსურველნი უნდა გამოცხადდენ პარტიულ კლუბში, ზემოაღნიშნულს დროს, საორგანიზაციო კრებაზე.

პარტიულ კლუბში გრძელდება ჩაწერა **ლენინის საბუნებისმეტყველო სამეცნიერო, ანტირელიგიოზური და სალიტერატურო—სამხატვრო სექციებში** (კირკის ქ მუშკოპის ბინა).

პარტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე მ. ესსენი

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი ქმარი ნიკოლოზ ივანეს ძე მეიშვილი, დედა ელენე და თამარა, ძმები: ვლადიმერი (საშა) და მიხეილი, რძლები: ელენე და გოგუცა ჩაჩავები ღრმა მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ორ თებერვალს ქ ფოთში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი ცოლი, მეორეს ქალიშვილი, მესამეთა და დანარჩენების მული.

ეკატერინე აკვსენტის ასული

მეიშვილისა-ჩაჩავა

ცხედრის გამოსვენება და დასაფლავება მოხდება 5 თებერვალს, დღის 2 საათზე. 494—1—1

ღრმად დამწუხრებული ვალერიან ეფრემის ძე ზავგულიძე აუწყებს: ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, საყვარელ მეუღლის

ელენას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვის დღე დანიშნულია 6 თებერვალს დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, სოფ. ზოდში, ქალ. ჭიათურა. 1—1 488

იულია, ბაბო, ნინი და სონია ვაუწყებთ, ნაცნობთ და მეგობართ, საყვარელ და დაუვიწყარ ამხანაგის

ელიჩკას

უდროოდ დაკარგვას, ქ. ჭიათურაში. 1—1 488

განცხადება ყველას საყურადღებოდ

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების და მოქალაქეთა საყურადღებოთ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ. რომ ქ. ტფილისში მას ჰყავს კონტრაგენტი, რომელიც აწარმოებს ხელ-მოწერას მარტოდ მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზე, რომელსაც აქვს ექსპედიციიდან მიცემული სათანადო მანდატი, რომ ვინმემ არ ისარგებლოს შემთხვევით, ექსპედიცია სთხოვს, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო ხელმომწერთ, როდესაც მათგან ღებულობს აგენტი ხელმოწერას მოსთხოვოს მას სამისო მანდატი.

ზემოაღნიშნული ზომა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ექსპედიციაში ხშირად მოდიან, როგორც დაწესებულებებიდან, ისე კერძო პირები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათგან მიუღიათ ვიღაცას ხელმოწერა, როგორც მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზე, ისე ადგილობრივის. აცხადებს რა ამას, ექსპედიცია ამით აუწყებს, რომ ასეთი შემთხვევებში პასუხისმგებლობას ის არ იღებს თავის თავზე.

უფ.—3—2 ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

ყოველთვიური სამეცნიერო კრებული

„ჩვენი მეცნიერება“ № 8 (იანვარის)

სადაც სხვა წერილებთა შორის მოთავსებულია პროფ. დ. უზნაძის **„ქართველ ბავშვთა სასწავლო საგნებისადმი ინტერესი“** და პროფ. ივ. ჯავახიშვილის **„ქართველი ერის ისტორია“**, წიგ მე-4-ე—(გაგრძელება) გამოვიდა და იყიდება ყველა მეგაზეთეებთან და კიოსკებში, როგორც ტფილისში, აგრეთვე პროვინციებში 474—3—3

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ღარიბებს უფასოთ. 25—24

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—11

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 571 1920 წ. ევგენი მოწონელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 492

დაიკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი № 1974 გაცემული ნინა ვეფხვაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ. 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიცემული რკინისგზის სტამბა-ლიტოგრაფიისაგან № 0179, ვახტანგ ვასილის ძე გბრაყანიძის სახელობაზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 489

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა გაცემული ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის მიერ 690 ნომრით 1904 წელს. გიორგი კირილეს ძე იოსელიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 490

დაიკარგა მოწმობა ჩოხატაურის ტექნიკუმის ექვსი კლასის გათავების შესახებ ევგენი ივანეს ძე გიორგაძის სახელზე № 884. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 491

დაიკარგა საბჭოთა მომუშავეების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ევდოკია ჩხატარაშვილის სახელზე № 568. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 4

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, სამი წულუკიძის ქუჩა № 4.